



காந்தியின் கவிதை

இயற்கை
கவிதை

> ௩ ௩ ௩ ௩ ௩ ௩ ௩ ௩ <
௩ ௩ ௩ ௩ ௩ ௩ ௩ ௩
1976

დიდი ესპანელი მწერლის, ლოპე დე ვე-
გას ლიტერატურული მემკვიდრეობა მეტად მრავ-
ალმხრივია. მაგრამ მან სახელი უფრო გა-
ითქვა ბრწყინვალე დრამატურგიით. თავის შე-
ბოძებულმა მწერალმა გვიჩვენა ესპანელის
თითქმის ყოველი ფენია ცხოვრება.

პიესაში „ფუფუნე ოვეზენა“ („ცხერის წუა-
რო“) აახულია ამბობებულ გლეხთა ერთსუ-
ლოვნება, მათი სწრაფვა თავისუფლებისაკენ.

თარგმნა მ ი ხ ი ი ლ ქ ვ ლ ი ვ ი ძ ი მ

„ფუნტე ოვეხენა“... ქართველი კაცის გული არ შეიძლება არ შეტოვდეს ამ ნაწარმოების ხსენებაზე! ეს ის პიესაა, რომლის დადგამა საქართველოში საფუძველი ჩაუყარა ახალ რევოლუციურ თეატრს და დიდი ქართველი რეჟისორის კოტე მარჩანიშვილის სახელი საქვეყნოდ ცნობილი გახდა. მარჩანიშვილის „ცხვრის წყარო“ სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მიმართული პროტესტი იყო და ძველი ცხოვრების წინააღმდეგ ამსუდრებულ ხალხს ბრძოლისკენ მოუწოდებდა.

მას შემდეგ ნახევარმა საუკუნემ გაიარა, მაგრამ ლოპე დე ვეგას შესანიშნავ პიესას ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისთვის, თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს. არც დაკარგავს არასოდეს, რადგან იგი იმ დიდებულ თანაუარსკვლევედს ეკუთვნის, სადაც მარადიული შუქით ანათებენ შიღერის „ყაჩაღები“, როსტანის „სირანო დე ბერკერაკი“, გუცოვის „ურჩელ აკოსტა“. ხოლო ვეფხვივით მძვინვარე ლაურენსიას ხმას, მისი მეამბოხე ძმების — კარლ მოორის, სირანოს და ურიელის საბრძოლო შეძახილიც უერთდება!..

დიდი ესპანელი პოეტი და დრამატურგი ლოპე დე ვეგა (ლოპე ფელიქს დე ვეგა კარპო) დაიბადა მადრიდში, 1562 წელს, შეძლებული გლეხის ოჯახში. მშობლების დახმარებითა და საკუთარი მეცადინეობით მან დაამთავრა ჯერ უნივერსიტეტი, ხოლო შემდეგ — მათემატიკურ მეცნიერებათა აკადემია. თავისი დროისთვის ფრიად განსწავლული ლოპე დე ვეგა (რამდენიმე უცხო ენის გარდა, მან შესანიშნავად იცოდა ისტორია, გეოგრაფია, ბუნებისმეტყველება, მათემატიკა, სამხედრო საქმე. ფილოსოფია და ანტიკური მითოლოგია) გაიტაცა თეატრმა და პიესების წერას მიჰყო ხელი. თანამედროვენი მას „ბუნების სასწაულს“ ეძახოდნენ და მართლაც. განსაცვიფრებელია ამ ადამიანის შრომისუნარიანობა. ლოპე დე ვეგა გარდაიცვალა 1635 წელს, 73 წლის ასაკში და ამ ხნის განმავლობაში მოასწრო 1500 პიესისა და 42000 ლექსის სტრიქონის დაწერა! ცხადია, მარტო შეთხ-

ზელის რაოდენობით არ განისაზღვრება იმ მწერლის მნიშვნელობა, რომლის სახელს სერვანტესისა და ველასკესის გვერდით იხსენიებენ. და მაინც, მრავალ შესანიშნავ ლექს-პოემასა და პიესას შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია „ფუენტე ოვებუნას“, რომელიც ესპანური ეროვნული დრამატურგიის მწვერვალს წარმოადგენს. ამ პიესის სიუჟეტი ისტორიულ ფაქტზე — 1476 წელს სოფელ ფუენტე ოვებუნაში მომხდარ გლეხთა აჯანყებაზეა აგებული და ამდენად მისი პათოსი ფეოდალური ჩაგვრის წინააღმდეგ არის მიმართული. მაგრამ მხატვრული განზოგადოების ძალა, რომლითაც გამსჭვალულია პიესა, იმდენად ძლიერია, რომ „ქტერის წყარო“ არასოდეს არ დაკარგავს თავის აქტუალობას, იგი უოველთვის დარჩება, როგორც მკვნებარე პოეტისტი უოველგვარი ჩაგვრის წინააღმდეგ...

მინილ ქვლივიძე

მოქმედი პირები

ფერდინანდი — არაგონის პრინცი, კასტილიის მეფე.

იზაბელა — კასტილიის დედოფალი, ფერდინანდის მეუღლე.

დონ როდრიგო ტელეცხირონი — კალატრაის ორდენის დიდი მაგისტრი, 16 წლისა.

დონ მანრიკე — სანტ-იაგოს ორდენის მაგისტრი.

დონ ფერნან გომეცი დე გუზმანი — კალატრაის ორდენის კომანდორი.

ფლორესი }
ორტუნიო } კომანდორის მსახურები.

სიმბრანოსი — ჯარისკაცი.

ესტებანი — ფუენტე ოვეხუნას ალკალდი, გლეხი.

ალონზო — რეხიდორი ფუენტე ოვეხუნაში, გლეხი.

მენგო.

ბარბლო }
ქერახუანი } გლეხები, მიწის მხენელები ფუენტე ოვეხუნაში.

ფრონდოზო — ქერახუანის შვილი.

პირველი რეხიდორი }
მეორე რეხიდორი } სიედად-რეალიდან.

ლენელო — ფუენტე ოვეხუნელი სტუდენტი.

მოსამართლე

ლაურენსია — ესტებანის ქალიშვილი.

პასკვალა }
ხასინტა } ახალგაზრდა ქალები ფუენტე ოვეხუნაში.

გლეხები, კაცები და ქალები, ბავშვები, ჯარისკაცები,
მემუსიკენი, აგრეთვე ამაღალა — მეფისა და დედოფლის,
დონ როდრიგოსი, დონ მანრიკესი.

მოქმედება ხდება ესპანეთის სოფელ ფუენტე ოვეხუნაში და სხვაგან.

მ ო ქ მ ე დ ე ბ ა პ ი რ ვ ე ლ ი

ს უ რ ა თ ი პ ი რ ვ ე ლ ი

კალატრავის ორდენის მაგისტრის ბინა ალმაგრაში.

ბ ა მ ო ს ვ ლ ა 1

კ ო მ ა ნ დ ო რ ი ფ ე რ ნ ა ნ გ ო მ ე ც ი, ფ ლ ო რ ე ს ი და ო რ ტ უ ნ ი ო.

კ ო მ ა ნ დ ო რ ი

მაგისტრს აცნობეთ ჩემი ჩამოსულა?
იქნებ არ იცის, რომ კომანდორი
მას ელოდება?

ფ ლ ო რ ე ს ი

იცის, ბატონო.

მაგრამ მაგისტრი ჯერ უმაწვილია
და, ვით პატარებს სჩვევიათ ზოლმე,
დიდკაცობს ცოტა.

კ ო მ ა ნ დ ო რ ი

დიდი მაგისტრი
მე, დონ ფერნანდო გომეც დე ჭუნჩანს.
შესაძლო არიარ მცნობდეს. მაჯრამ

კომანდორობას ჩემსას პატივი
უნდა სცეს მაინც!

ფლორესი

ნუ გაიკვირვებთ,
უმწიფარობით მოსდის ნამდვილად!
აკი ვითხარით, ბავშვია-მეთქი!

ორტუნო

იქნება თქვენმა მოშურნემ ვინმემ
ურჩია მაგისტრს, რომ სათანადო
პატივისცემით არ დაგხვედროდათ?

კომანდორი

თუ ეს ასეა, თავის მომხრეებს
ვერ შემოიკრებს დიდი მაგისტრი!

ფლორესი

არა მგონია, რომ ასე იყოს!
მოხერხება და ცოდნა აკლია
კაიკაცობის გამოსაჩენად!

კომანდორი

მოხერხებისა რა მოგახსენოთ;
რაც შეეხება ზრდილობას, — იგი
მაგისტრს მაშინვე უნდა ესწავლა,
როდესაც წელზე შეიბა ხმალი!
დიახ, იმ დღიდან, როცა მის მკერდზე
ლალეთ. ზურმუხტით მომძივებული
~~გაბოწყინდა ჭვარი კალატრავისა!~~

ფლორესი

იქნებ შეუღლებს აგდებს თქვენს შორის ვინმე?

ბ ა მ ო ს ვ ლ ა 2

იგოვენი და კალატრაის მაგისტრი ამალითურთ.

მ ა გ ის ტ რ ი

გთხოვთ მაპატიოთ, დონ ფერნან გომეც!
ეს წუთი არი შემატყობაჲეს
თქვენი ჩამოსვლა!.

კ ო მ ა ნ დ ო რ ი

მაქვს საფუძველი
ვიყო ნაწყენი! სიმართლე გითხრათ,
მიკვირს...

მ ა გ ის ტ რ ი

ო, არა! სულ არ ველოდი
თქვენს მობრძანებას! ნება ნომეცით,
გადაგეხვიოთ, როგორც მეგობარს!

ეხევა

კ ო მ ა ნ დ ო რ ი

განა არა ვარ ღირსი? ვინ მოთვლის,
თავი რამდენჯერ გადამიდვია
თქვენთვის და თქვენი მშობლებისათვის?!

მ ა გ ის ტ რ ი

ვიცი, გეთაყვა, და ვფიცავ ამ ქვარს,
მკერდს რომ გვიმწვენებს ორჯეს ახლა,
ამაგს ისევე არ დაგივიწყებთ,
როგორც მშობელს არ ივიწყებს შვილი!

კ ო მ ა ნ დ ო რ ი

ახლა კი ცოტა მომეშვა გულზე...
კმაყოფილი ვარ, სენიორ!

მაგისტრი

ომზე

თუ ისწის რავე?

კომანდორი

ყველაფერს გეტყვით
და რას გაკისრებთ მოვალეობა,
ნიჭდებით თვითონ.

მაგისტრი

ბრძანეთ, მე გისმენთ.

კომანდორი

თქვენ, დონ როდრიგო ტელეც ხირონი,
დიდი მაგისტრი, ვისაც მაღალი
ხარისხი თქვენი სახელგანთქმული
მშობლის საბრძოლო დამსახურების
და მამაცობის წყალობით გერგოთ.
ნცირეწლოვანი ბრძანდებით თუშკა.
ძთელს კალატრავის ორდენს განაგებთ!
თქვენა ხართ ჩვენი ბატონ-პატრონი
და, ვით მაგისტრი, ვალდებული ხართ
ააფრილოთ საბრძოლო დროშა
კალატრავისა — ნეტარსენებულ
თქვენი მშობლების განსადიდებლად
და თქვენი ხალხის საკეთილდღეოდ!..
მე გეახელით, სენიორ, რომ ამ
რთულ და არეულ ვითარებაში,
ოდეს მოსაზღვრე კასტილიაში
ბედის და ტახტის მამიებლები
ეცილებიან უფლებას თქვენსას,
გიორჩიოთ: დღესვე, დაუყოვნებლივ,
აქ, აღმავრაში, მოუხმით ყველა
კაბალეროებს და შეუტით
სიუდად-რქალს — ანდალუზიის
და კასტილიის საზღვარზე მდებარს!

მის ასაღებად დიდი ლაშქარი
არ დაგჭირდებათ! თქვენ, მართალია,
ახალგაზრდა ხართ, გამოუცდელი,
მაგრამ დრო დადგა ყველას აჩვენოთ
თქვენი ძალა და შეუპოვრობა
ღა მოიყვანოთ გონს თავხედები,
ვინც კადნიერად ამტკიცებს, თითქო
ეგ მამათქვენის დანატოვარი
მაგისტრის ჯვარი მეტად მძივია
თქვენი კისრისთვის!... ყრმავ როდრიგო!
სახელოვანი მამა-პაპანი
შემოგყურებენ საფლავებიდან
და თქვენზე იმედს აყარებს ყველა!
მაჰ. ამოაგეთ მსახვრელი ხმალი,
რომ მოგლვარე მისი ფოლადი
საომარ ველზე გაწითლდეს ისე,
როგორც ეგ ლალით მომძივებულ
ჯვარი, რომელიც გიბრწყინავთ მკერდზე!

მაგისტრი

იმედი გქონდეთ, დონ ფერნან გომეც,
მემკვიდრეობის წმინდა უფლებას
არვის დაუთმობ! ქარიშხალივით
თავს დავატყდები სიუდად-რეალს
და ღვთის შეწევნით დავიმორჩილებ!
ჰო, მართლა... ბინა სადაა თქვენი?
ვგონებ, ფუენტე ოვეხუნაში?

კომანდორი

დიახ. იქაა. ამ გაჭირვებულ,
შფოთიან დროში მასზე უკეთეს
ადგილსამყოფელს ვერ ნახავს კაცი!
ტყუილად კი არ დაარქვა ხალხმა
„ცხვრის წყარო“—მყუდრო სოფელი
გახლავთ...

მაშ. ასე! უბნეთ კაბალეროებს,
მეც ჭარისკაცებს შემოგაშველებთ
და წინ, სიუდად-რეალისაკენ!

მ ა ვ ი ს ტ რ ი

დღესვე საბრძოლოდ გავეშურები!

გ ღ ი ა ნ .

ს უ რ ა თ ი მ ე ო რ ე

გ ა მ ო ს ვ ლ ა ვ

მოედანი ფეენტე ოვეხუნაში, კომანდორის სასახლის წინ.
შემოღიან ლ ა უ რ ე ნ ს ი ა და პ ა ს კ ვ ა ლ ა .

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

ნეტავი მართლა მოცილდებოდეს
აქაურობას!

პ ა ს კ ვ ა ლ ა

მე კი შეგონა,
შენ მისი წასვლა გულს დაგწყვეტავდა!

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

ნეტავ სულ გაწყდი!
ამქვეყნად მისი სახსენებელი!

პ ა ს კ ვ ა ლ ა

ოჰ, კარგი, ერთი! ბევრი ქალისგან
გამიგონია ეგეთი წყევლა,
მაგრამ საქმე რომ საქმეზე მივა,
როგორც სანთელი, ისე დნებიან
კაცების ხელში!

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

მუხა გინანავს?
მეც იმ ჭიშის ვარ — მოუდრეკავი!

პ ა ს კ ვ ა ლ ა

წინასწარ მაინც ვერავინ იტყვის:
„ამ მდინარის წყალს მე არ დავლევო!“

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

რასაც აქ ვამბობ, სხვაგანაც ვიტყვი
დაუფარავად, თუნდ ამის გამო
მთელმა სოფელმა დამძრახოს... როგორ?
შევყვარო და — ვინ? კომანდორი?
გესმის, რას მირჩევ? განა ის ცოლად
შემირთავს?

პ ა ს კ ვ ა ლ ა

არა, ხომ არ გაგუდი!

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

მაშ რა ვქნა? ფეხით გავათელინო
ჩემი ქალობა? განა არ იცი,
რამდენ ქალიშვილს, ვინც კი მის სიტყვებს
დაუჯერა და ენდო, საქვეყნოდ
თავი მოსქრა და მოუკლა გული?!

პ ა ს კ ვ ა ლ ა

ვითომ გგონია, გადაურჩები
მის კლანჭებს? გჯერა სასწაულისა?

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

სასწაულია თუ რალაცაა,
ორი თვეა, რაც ჩრდილივით დამდევს,
მაგრამ ვერაფერს ვერ მიაღწია!
იმ ორტუნის — იმ ბებერ მელას

და იმ ლაქუცა მაჭანკალს ფლორესს
რა არ მოჰქონდა საჩუქრად ჩემთვის.
თან ათასნაირ სიტყვებს ხარჯავდნენ,
რომ ჩემი გული მოენადირათ.

მაგრამ ვერაფრით დამიყოლიეს:
„არ მომწონს-მეთქი თქვენი ბატონი!“
როცა დარწმუნდნენ, რომ ეშმაკობით
ვერ გახდებოდნენ ვერაფერს, მაშინ
დამემუქრნენ და, რაც იმათ მოთხრეს
ჩვენს კომანდოროზე, მე — ქალს კი არა,
გულად ვაეკაცსაც შეაშინებდა!
მაგრამ მე წარბიე არ შემიხრია!

პ ა ს კ ვ ა ლ ა

სად ჰქონდათ შენთან ეგ საუბარი?

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

ქვევით, წააროსთან. ექვსი დღის წინათ.

პ ა ს კ ვ ა ლ ა

ფრთხილად იყავი, ლაურენსია,
არ წამოეგო ანკესს!

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

ვინა? მე?

პ ა ს კ ვ ა ლ ა

აბა, ვინ? ჩვენი სოფლის ხუცესი?

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

ნუ გეშინია, ჩემო პასკვალა!
ჩვენ ვარაუდგრე სულელი
არდია, სეავის ლუკმა რომ გახდეს!
კიქებს დაიმტვრევს ფერნან გომეცი
თუ დამიპირა შექმა!.. საერთოდ,
მამაკაცების არ მჭერა. არა!

მათ საარშიყო ბოდვას უგუნურს
მე მირჩევნია ცეცხლთან ვიჯდე და
ვუცქერდე, როგორ იწვის ტაფაზე
კარტოფილი ან ხორცის ნაჭერი,
როგორ შიშინებს, რა გემრიელად
თრთის ის ოხერი და იბრაწება!
შენ ეს მითხარი: სჯობია რამე
თონეში კარგად გამომცხვარ შოთებს
და ღორის ქონში შემწვარ ბადრიჯანს?!
რა კარგი არი, ჩემო პასკვალა,
ნავახშმევს, ზვარში გაისეირნო
და მწიფე-მწიფე დახუნძლულ მტევნით
საამოდ პირი ჩაიტკბარუნო?!
მერე დაბრუნდე სახლში დადლილი,
ძილისპირული წარმოსთქვა ლოცვა
და ამის შემდეგ, დამშვიდებული,
ჩაწვე ლოგინში, თბილი საბანი
შემოიფუთნო და დაიძინო
უმანკო ბავშვის უცოდველ ძილით!
ნუთუ არა სჯობს ეს ყველაფერი,
უფრო საამო არ არის, განა,
ვიდრე ვილაცა არამზადებთან
ლაზლანდარობა და სიყვარულზე
ფუყე სიტყვების მოსმენა?! მაინც
რა უნდათ ჩვენგან? ნუთუ, მარტოდენ
ის ამოძრავებთ, ჩაგვიგდონ ხელში,
მოიკლან ქინი მამაკაცური?!
რას ცოდვილობენ ამდენს, არ ვიცი?!
ან რა აზრი აქვს მათ გარჯას, როცა
მიალწევენ რა თავის საწადელს,
ჩაეძინებათ ნასიამოვნებს,
და იღვიძებენ ზიზლით აღვსილნი?!

პ ა ს კ ვ ა ლ ა

შენ მართალი ხარ, ასე იციან!
ქივქავებს ჰგვანან მამაკაცები!

წამთარის სიცოვე როცა მოუქერს,
ვლების ეზოში მოფრინდებიან
გუნდ-გუნდად, ქოხში შეიჭრებიან,
ალარც შიში აქვთ, არც მორიდება
და იატაკზე პურის ნამცეცებს
ენკავენ ხარბად და გასჭყვივან
ტკბილი ხმით: „ძიავ-ძიავ-ძიავო!“
ხოლო, როგორც კი გაზაფხულს მწე
აბრიალდება, იმავე წუთას
მიატოვებენ იქაურობას
და შეძახილით „ქიავ-ქიავო!“
მიაშურებენ მწვანე მდელოებს
და იმ წყეულებს მაშინ ვერაფრით
ვერ შეაჩერებ!.. მამაკაცებიც
ასე არიან: როცა ვჭირდებით.
ხელში ჩაგდება ჩვენი რომ უნდათ,
გვეტკბილებიან და მაშინ ჩვენ ვართ
მათთვის სიცოცხლე, სული და გული!
მაგრამ როგორც კი სახლში შეუშვებ
და დააპურებ, იმავე წუთს გარეთ
გაიჭრებიან და აღარ ახსოვთ
ის შენი „ძია“ და, უმადურნი,
მხოლოდ „ქიაზე“ ფიქრობენ ატლა!

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

არც ერთი კაცი სანდო არაა!

პ ა ს კ ვ ა ლ ა

მაგას არ ვამბობ, შენი ქირიმე?!

მატყუარები არიან ყველა!

ბ ა მ მ ს ვ ლ ა 4

იგოვენი, მენგო, ბარილდო, ფრონდოხო.

ფრონდოხო

ეს რა ჭიუტი ყოფილხარ, მენგო!

ბ ა რ ი ლ დ ო

ჩვენს კამათს, ხალხო, ბოლო არ უჩანს.
მოდო, ასე ვქნათ: ამ ქალებს ვკითხოთ,
მაგათ განსაჯონ — ვინაა ჩვენში
მართალი.

მ ე ნ გ ო

ოდონდ პირობა დავთქვათ:
მე თუ მოვიგე, რასაც დამპირდით.
ახლავე მომცემთ! ყაბულს ხართ?

ბ ა რ ი ლ დ ო

კარგი.
წაგებულ თუ აღმოჩნდი, ნაშინ?

მ ე ნ გ ო

ჩემი ფანდური წაიღეთ! ორმოც
კოჯა ღვინოზე ნაკლები არ ღირს.
ჩემთვის კი, იცით — ფასი არა აქვს!

ბ ა რ ი ლ დ ო

დაჰკარი ხელი! (ქალებს) ქალბატონებო!

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

ქალბატონები? ჩვენ?

ბ ა რ ი ლ დ ო

ზრდილობისათვის
გითხარით, თორემ, მე ვიცი რასაც
დაგიძახებდით!.. ნუ გწყინთ, კარგებო!
ხომ იცით, ახლა პირფერობის და
ტყუილის დროა! აბა, დაფიქრდით:
ვინ ლაპარაკობს სიმართლეს ჩვენში,
ან თუა ვინმე, კაცის საქციელს
არქმევდეს თავის შესაფერ სახელს?!

უეცის — სწავლულად ნათლავენ, ლაჩარს —
 გულად, შეშლილს — ახირებულად,
 ქურდს და მექრთამეს — მცოდნე მოსაქმედ,
 ძუნწს — ხელმომპირნედ, ყბედს — მოსაუბრედ,
 ჩერჩეტ-კრეკიას — ოხუნჯად, ხოლო
 ლოს და ავაზაკს — დაღდიმანდ კაცად!
 ამ ბოლო დროს კი, რადგანაც სიტყვას
 მთლად დაეკარგა წონა და ფასი,
 სუყველას ერთად — უქნარას, ჩერჩეტს,
 ლაჩარს, მექრთამეს, ქურდს და ავაზაკს. —
 ერთი სახელი გამოუგონეს —
 „კაცური კაცი“!... ჰოდა, გეთაყვათ,
 რად გიკვირთ, თუ მეც სხვის ხმას აყვევი
 და ანეთ ლამაზ, კობტა გოგონებს
 „ქალბატონები“ დაგარქვით?!

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

მართლაც,
 ქალაქში ასე ლაპარაკობენ,
 როდესაც ვინმეს თავს აწონებენ.
 ანდა სურთ უკეთ გამოჩნდნენ, ვიდრე
 სინამდვილეში არიან... აქ კი
 სოფელში, სხვაა, — აქ ყველაფერი
 პირიქით ხდება: აქ მიამიტი —
 უხეირო და ბედოვლათია,
 თავაზიანი — ქლესაა, წყნარი —
 მხდალია, სათნო — გაიძვერაა,
 პატიოსანი ქალი — სულელი
 ანდა მახინჯი. თუ გაიცინებ.
 ნამუსგარეცხილ ქალად ჩაგთვლიან
 და ისეთ ქორებს გაგივრცელებენ,
 მტრისას!... სჯობია, მოვრჩეთ ამაზე.
 თქვენ რაღაცაზე დავობდით, მგონი?

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

მოგვისმინე და განგესაჯე თვითონ.

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

ვეცდები.

ბ ა რ ი ლ დ ო

კარგად დაგვოგდე ყური!

მ ე ნ გ ო

როგორც შენ იტყვი, ისე იქნება.

შენა ხარ ჩვენი მსაჯული!

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

კარგი.

რაშია თქვენი უთანხმოება?

დაენაძლიეთ ერთმანეთს?

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

დიახ.

მე და ბარილდო — აი, ეს კაცი,

აი, ამას — მენგოს დავენაძლიეთ!

ბ ა რ ი ლ დ ო

ჯიუტია და ვერ დავაჯერეთ

ის, რაც დღესავით ნათელი არი!

მ ე ნ გ ო

მე ჩემი მითქვამს! ამან განსაჯოს,

სად — მართალია და სად — ტყუილი!

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

რაშია საქმე, გამაგებინეთ!

ბ ა რ ი ლ დ ო

მენგო ამტკიცებს, რომ სიყვარული

არ არსებობსო...

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

უყურე ამას.
რა პოეზიზმავს?! სისულელეა!

პ ა რ ი ლ დ ო

გაივ, რა თქვა? მოკაცე თითი!
სიყვარული რომ არ იყოს, ძმაო.
ეს ქვეყანაც არ იარსებებდა!
შენ, შავალითად, საიდან გაჩნდი?

მ ე ნ ვ ო

კაცო, მე მაგას არ გეუბნები!
საიდან გაჩნდი და როგორ გაჩნდი,
ეგ კარგად ვიცი!

ბ ა რ ი ლ დ ო

მაშ, რაღას დავობ?

მ ე ნ ვ ო

მე იმას ვამბობ, ადამიანი
სხვა ადამიანს ვერ შეიყვარებს!

პ ა ს კ ე ა ლ ა

უკაცრავად ვარ, მაგრამ შენ სცდები!
ანდა იქნება ბრმა ხარ? ვერ ხედავ,
ყველა სულდგმული თავის სწორს ეძებს,
კაცს — ქალი უყვარს, მამალს — დედალი...

მ ე ნ ვ ო

ეგრე გგონია! სინამდვილეში
თავის თავს ჰყვარობს სუყველა! აბა?!
თავის საკუთარ ჟინს იკლავს, თავის
ენებას აპურებს!

პ ა ს კ ე ა ლ ა

სტყუიხარ, მენგო.

მ ე ნ ვ ო

კარგი! რა არი, მაშ, სიყვარული?

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

მშვენიერება! სილამაზისკენ
სწრაფვა!

მ ე ნ ვ ო

კეთილი. ახლა მითხარი:
რატომ მიილტვის სილამაზისკენ
შეყვარებული?

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

როგორ თუ რატომ?
სურს ვაიბადოს თავისად, უნდა
დაისაკუთროს, დასტკბეს ამითი.

მ ე ნ ვ ო

მე სწორედ მანდ ვარ!.. მაშასადამე.
ადამიანი. რომელსაც უყვარს,
მხოლოდ საკუთარ ნეტარებაზე
ფიქრობს და მარტო თავისთვის ზრუნავს?!

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

დიახ...

მ ე ნ ვ ო

საკუთარ თავზე კი ზრუნვა
თავისი თავის სიყვარულია!
ასე არ არი?

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

ასეა.

მ ე ნ გ ო

მერე,
რას მედავებით, არ ვიცი?! მეც ხომ
მაგას ვამტკიცებ, რომ აღამიანს
არ შეუძლია სხვის სიყვარული!

პ ა ს კ ვ ა ლ ა

ამ საკითხს, ხალხო, ეგრე ადვილად
ჩვენ ვერ გადავწყვეტთ! ჩვენზე უკეთეს
ხალხს უმტკრევია ამაზე თავი!

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

და მაინც, მენგო, ვერ დამარწმუნებ,
თითქო უქალოდ, უსიყვარულოდ
გიტარებია წუთისოფელი.
თუ ეს ასეა, — ბედს უმადლოდე!

მ ე ნ გ ო

შენ გიყვარს ვინმე?

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

მხოლოდ და მხოლოდ
პატროსნება ჩემი!

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

ო, ღმერთო,
დასაჯე იგი იკვიანობით!

ბ ა რ ი ლ დ ო

მე სანაძლეო მაინტერესებს!
ვინ გაიმარჯვა?

პ ა ს კ ვ ა ლ ა

შენს ხუცესს ჰკითხე!
ლაურენსიას არავინ უყვარს

და თქვენს მსაჯულად ვერ გამოდგება,
მე კი არ მყოფნის გამოცდილება,
რომ გადავწყვიტო თქვენი კამათი.

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

უგრძნობი გული! ამაზე უფრო
საშინელება რა უნდა იყოს?!

გ ა მ ო ს ვ ლ ა 5

ი გ ე ვ ე ნ ი და ფ ლ ო რ ე ს ი

ფ ლ ო რ ე ს ი

პატიოსან ხალხს ჩემი სალამი!

პ ა ს კ ვ ა ლ ა

ჩრდილი გვეახლა კომანდორისა!

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

ძალდია მისი! (ფლორესს) სადა ყოფილხარ,
ჩემო ნათლიმამ?

ფ ლ ო რ ე ს ი

ომში! ბრძოლაში!

განა ვერ მატყობ ტანისამოსზე?

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

მაშ კომანდორიც დაბრუნებულა?

ფ ლ ო რ ე ს ი

გამარჯვებული, როგორც ყოველთვის!
ბრძოლა მოვიგეთ, თუმც, მართალია,
ძვირად დაგვიჯდა ეს გამარჯვება!

ფ რ ი ნ უ ო ზ ო

მოუკეკო ახლა: რა იყო, როგორ...
ჩვენ ყველაფერი გვაინტერესებს!

ფ ლ ო რ ე ს ი

განპირობთ. ჩემზე უკეთ ვერაფერ
ვერ მოვიყვებთ იმას, რაც ნიჭი...
მაშ. ასე... ორი ათასი მხედრით
ჩვენ მივადექით სიუდად-რეალს.
ჯარს თვით მაგისტრი წინ მიუძღოდა,
ხოლო მის გვერდით, აბჯარასხმული,
სახელოვანი ფერნან გომეცი
მოაგელვებდა თავის ბედაურს!
იმათ შეხედვას არა ჯობდა რა!
უწვერ-ულვაშო მაგისტრის გვერდით
ფერნან გომეცი მოჩანდა, როგორც
მარჯანი მძლავრად ფეხებგადგმული,
ტოტებგაშლილი, ვეება მუხა!
თქვენ ჩქნებ ფიქრობთ, სიუდად-რეალს
ფერი ეკვალა, მოულოდნელად
ჩვენი ჯარი რომ იხილა ბჭესთან?
არაკითარი! დიდმა. პატარამ,
ხელი დასტაცა ყველამ იარაღს,—
თავს გაეწირავთო სანშობლოსათვის, —
და ამ ძახილით გამხნეებულნი
გვეცნენ ისეთი თავგამოდებით
და გავეჩადეს ისეთი ბრძოლა
სისხლისმღვრელი და გააფთრებული.
რომ სანახევროდ გაგწყვიტეს თითქმის!
სამ- დღე-ღამე გაგრძელდა ომი
და ბოლოს ვძლიეთ!.. ჩვენი კაბუკი
ქალაქს შებრძანდა დიდი ზეიმით
და დაამყარა სწრაფად წესრიგი
იმით, რომ მთავარ მეთაურობებს
დააყრეკინა თავები ყველას!

მოგეხსენებათ სალხური სიბრძნე:
„შიში შეიქმნა სიყვარულს!“ — ჰოდა,
ეხლა მაგისტრი ღმერთია მათთვის, —
ყველა თაყვანს სცემს და ემონება!

(საყვირის ხმა)

გესმით საყვირი?! ის მობრძანდება ---
ჩვენი ბატონი, ფერნან გომეცი!
ღიმილით დავხვდეთ ჩვენს ხელისუფალს!

გ ა მ ო ს ვ ლ ა 6

იგივენი და კომანდორი. ქერა ხუანი, ეს-
ტებანა, ალონზო, ორტუნიო, მემუსიკენი და
სოფელეზა.

მ ე მ უ ს ი კ ე ნ ი (მღერთან)

დიდება ხირონებს,
დიდება გუზმანებს, —
ფოლადის ხელით რომ
მუსრავენ დუშმანებს!
ვაშა, ჩვენს კომანდორს!
სიკვდილის მთესავი
მისი ორლესული
ელვარებს მზესავით!
მან წამოაჩოქა
სიუდად-რეალი, —
მუდამ დღეგრძელობდეს
ჩვენი მარჩენალი!
მისი მზე ნურასდროს
ნუ დაიბინდება...
დიდება კომანდორს!
კომანდორს დიდება!

კ ო მ ა ნ დ ო რ ი

მადლობა სოფელს, თვითეულ თქვენკანს —
ჩემი ასეთი დაფასებისთვის!

ესტებანი

ჩვენო მფარველო და მწყალობელო!
სენიორ! სოფლის ყველა მკვიდრისგან,
აგრეთვე ჩვენი საბჭოს სახელით,
მე გთხოვთ, მიიღოთ მცირედი ძღვენი:
ეს სანოვაგით სავსე ურმები
და ეს გოდრები, — შიგ ნახელავი
აწყვია ჩვენი: ქურქლეულობა
კობტად ნაქედი და მოხატული...
აი. აქ გახლავთ, — ესეც თქვენია,
ინებეთ, — თეთრი ბატების გუნდი.
შეხედეთ, როგორ ყელყელაობენ, —
როგორ ცდილობენ კალათებიდან
თავი გამოყონ, რომ თქვენს გმირობას,
თქვენს გამარჯვებას შეასხან ქება!
ეს გოჭის ხორცი ახალთახალი,
ესეც სამწვადე ღორის სუკები;
ეს კიდევ თევზი: თართი, თორუჯი,
ზუთხი, კალმახი და ორაგული!
ესეც ქათმები, მსუქან-მსუქანი
დედლები გახლავთ! თქვენი ჩამოსვლა
გვამცენეს თუ არა, იმავე დღესვე
სულ ერთიანად გავწყვიტეთ ყველა!
უცებ დაქვრივდნენ ჩვენი მამლები
და, თუმცა ცოტა მოწყენილები
არიან ახლა, განთიადისას
თქვენს სადიდებელს მაინც მღერიან!..
სხვა წვრილმანებით თავს არ შეგაწყენთ.
ესაა ძღვენი სიყვარულისა,
ღმერთმა შეგარგოთ, ჩემო სინიორ,
სულ გამარჯვებით გევლოთ მიწაზე
ქვეყნის და ხალხის საკეთილდღეოდ!

კომაანდორი

მადლობა მითქვამს. კარგად იყავით.
ნახვამდის!

ესტებანი

აბა, ბიჭებო! ერთი
დავაგუგუნოთ ჩვენი წასვლისა!

მემუსიკენი (მღერთან)

მისი მზე ნურასდროს
ნუ დაიბინდება, —
დიდება კომანდორს!
კომანდორს დიდება!

‘გლებები და მემუსიკენი გადიან,

გამოსვლა 7

კომანდორი, ლაურენსია, პასკვალა,
ორტუნიო და ფლორენსი.

კომანდორი (ქალებს)

თქვენ მოიცადეთ.

ლაურენსია

თქვენს მოწყალებას
რაიმე ნებავეს?

კომანდორი

ჯიუტობ კიდევ?
უყურე ამას, რა თავხედი!

ლაურენსია (პასკვალას)

შენ გეუბნება ამას, პასკვალა?

პასკვალა

არა, ცხადია.

კომანდორი

შენ გეუბნები,
შენ. ჩემო ურჩო, ლამაზო გველო!
და შენც, ლამაზო, ხეპრე გოგონავ!
თქვენ ორივენი ჩემი ხართ!

პასკვალა

დიახ,
თქვენი ვართ... მაგრამ არა იმგვარად,
როგორც თქვენ ფიქრობთ!

კომანდორი

ჰო, კარგი, კარგი!
შებრძანდით სახლში! შებრძანდით-მეთქი,
რამ შეგაშინათ, იქ ხომ ხალხია?

ლაურენსია

მამაჩემიც რომ დარჩენილიყო,
წამოვიდოდი, მარტო კი... არა,
ფეხს არ გადავდგამ!

კომანდორი

შენ ეი, ფლორეს!

ფლორესი

გისმენთ, სენიორ!

კომანდორი

არ ასრულებენ
ბრძანებას ჩემსას!

ფლორესი

აბა, გვრიტებო,
მიბრძანდით! ჩქარა!

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

ხელი არ მახლო!

ფ ლ ო რ ე ს ი

მიბრძანდით-მეთქი! არ გესმით, რა ვთქვი?
ნუ გამომიყვანთ მოთმინებიდან,
თორემ უხეში ჭარისკაცი ვარ
და შეიძლება გატკინოთ რამე!

პ ა ს კ ვ ა ლ ა

გაიწი იქით! ვის ატყუილებ?
როგორც კი შევალთ, კარს მოგვიკეტავ!

ფ ლ ო რ ე ს ი

არა, სულელო! სენიორს უნდა
თავის ნადავლი გაჩვენოთ. მართლა!

კ ო მ ა ნ დ ო რ ი (ორტუნიოს. ჩემად)

სახლში რომ შევლენ, იმავე წუთში
დაკეტავ კარებს! (გაღიხ)

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

გაგვიშვი, ფლორეს!

ფ ლ ო რ ე ს ი

არ შემიძლია, ლაურენსია!
იმ საჩუქრებში, რომლებიც ახლა
თქვენმა კაცებმა მოართვეს ბატონს,
თქვენც ხართ ორივე!

პ ა ს კ ვ ა ლ ა

უყურე ამას!

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

განა კომანდორს ცოტა მიართვეს
ბატი, ქათამი და ღორის ხორცი?

ფ ლ ო რ ე ს ი

ღორის ხორცს თქვენ ი სად შეედრება?!
კომანდორს ნაზი კერძები უყვარს!

პ ა ს კ ვ ა ლ ა

ისემც გაუსკდა იმას მუცელი!

ლაუსხლტებიან და გარბიან.

ფ ლ ო რ ე ს ი

რა გვეშველება ახლა მე და შენ?
რა ვუთხრათ იმას?

ო რ ტ უ ნ ი ო

აბა, რა ვიცი!

ხელცარიელებს რომ დაგვინახავს,
ცოცხლები ველარ გადავურჩებით!

გაღიან.

ს უ რ ა თ ი მ ე ნ ა მ ე

მეფეთა საცხოვრებელი მედინა-დელ-კამპოში.

ბ ა მ ო ს ვ ლ ა მ

მეფე ღონ ფერდინანდი, დედოფალი
იზაბელა, ღონ მანრიკე და ამაღა.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

მე მოგახსენებთ, სენიორ, რომ ჩვენ
ამჟამად საფრთხის წინაშე ვდგავართ:
მეფე ალფონსო ჯარს იკრებს უკვე!

მ ე ფ ე

არაფერია! მხარს დაგვიჭერენ
არაგონიდან, ნავარიდანაც...
მე იმედი მაქვს ჩვენი ძალისა!

დ ე დ ო ფ ა ლ ი

მოქმედება და გაბედულება —
ესაა მხოლოდ თავდები იმის,
რომ გავიმარჯვებთ...

დ ო ნ მ ა ნ რ ი კ ე

სიუდადიდან
რეხიდორები გაეხლნენ, მეფევ,
საუბარი სურთ!

მ ე ფ ე

სთხოვეთ მობრძანდნენ,

დ ო ნ მ ა ნ რ ი კ ე გადის და ბრუნდება რ ე ხ ი დ ო რ ე ბ ი ს
თანხლებით.

გ ა მ ო ს ვ ლ ა 9

ი გ ი ვ ე ნ ი და რ ე ხ ი დ ო რ ე ბ ი

პ ი რ ვ ე ლ ი რ ე ხ ი დ ო რ ი

დიდო მეფეო! ნება მოგვეცი
ქალაქ სიუდად-რეალის ყველა
მკვიდრის სახელით უმორჩილესი
თხოვნით მოგმართოთ... გვიშველე, მეფევ!
გამოგვესარჩლე! ვერაგი მტერი
თავზე დაგვესხა მოულოდნელად!
დიდი მაგისტრი კალატრავისა,
ნორჩი როდრიგო ტელეც ხირონი, —

ცნობილი თავის პატივმოყვრობით
და ყმაწვილური თავგასულობით. ---
გარს შემოერთყა სიუდად-რეალს.
სამი დღე-ღამე გაგრძელდა ბრძოლა,
ქუჩებში სისხლი ღვარად დიოდა,
მაგრამ ვერაფერს გავხდით... ამჟამად
ქალაქი უკვე აღებულია
და კალატრავის ორდენის დროშა
ფრიალებს მისი კარიბჭის თავზე...
ქალაქს განაგებს ფერნან გომეცი,
ისაა ჩვენი ხელისუფალი
და თუ დროულად არ მოგვეშველეთ,
თქვენი ერთგული ქვეშევრდომები
მისი მონები გავხდებით ყველა.

მ ე ფ ე

სადაა ახლა ფერნან გომეცი?

პ ი რ ვ ე ლ ი რ ე ხ ი დ ო რ ი

ალბათ ფუენტე ოვეხუნაში,
იქ ცხოვრობს.

მ ე ფ ე

ჯარის მეთაურები
თუ დაგრჩა ვინმე?

მ ე ო რ ე რ ე ხ ი დ ო რ ი

არა, მეფეო.
ვისაც შეეძლო წინამძღოლობა,
ან მოკლეს, ან ტყვედ ჩავარდა...

მ ე ფ ე

მაშინ
დროს ნუ დაგკარგავთ! თქვენ, დონ მანრიკე-
დაუყოვნებლივ გაემგზავრებით!

თან გაიყოლებთ ერთ-ორ ლეგიონს, —
მეტი, მე ვფიქრობ, არც დაგკირდებათ
იმ თავგასული ღლაპის, მაგისტრის,
დასასჯელად და ახალაგმავად!

დონ მანრიკე

იმედი გქონდეთ, ჩემო მეფეო,
საზღვარს დაუდებ მის უგნურებას
და თუ სიკვდილმა არ შემეჩერა.
გაპარჯებული დაგიბრუნდებით!

ველანი გაღიან.

ს უ რ ა თ ი მ ე ო თ ხ ა

მინდორი ფენენტე ოვეხენას მახლობლად.

გ ა მ ო ს ვ ლ ა 10

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა და ფ რ ო ნ დ ო ზ ო

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

რამდენჯერ უნდა გითხრა, ფრონდოზო:
ჩამომეხსენი! ნუ დამდევ კუდში!
აბა, ეს რას ჰგავს! სახლიდან გარეთ
ვერ გამოვსულვარ! დღესაც წყაროზე
სარეცხის რეცხვა არ დამაცალე!..
შენი უგნური ქცევის წყალობით
მთელი სოფელი ჩვენზე ყაყანებს!
ათას რაღაცას ქორაობს ხალხი!
ამბობენ, თითქო მე და შენ უკვე
გაჩარხული გვაქვს საქმე საეხეობით
და დღეს იქნება თუ ხვალ იქნება.
ეკლესიაში ჯვარს დაგვწერს მღვდელი!
ამაზე ფიქრიც კი არ გაბედო!
შენ, მართალია, კარგი ბიჭი ხარ,
შნოიანი და წარმოსადეგი,

მუყაითი და დაუზარელი,
მაგრამ ცოლობას ვერ დაგპირდები!
არა და არა! დაოჯახებას
ჯერ არ ვაპირებ და შენც, ფრონდოზო,
გირჩევ, მაგაზე აღარ იფიქრო!

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

ლაურენსია! რად მტანჯავ, ქალო?!
შენი დანახვა, შენს ახლო ყოფნა,
შენს გვერდით გავლა სულს მიდგამს, მაგრამ
სიტყვას იტყვი და ასე მგონია,
თითქო კუბოში მაწვენდე ცოცხლად!
ნუთუ ვერ ხედავ, შე დალოცვილო,
რომ ერთი ფიქრით ვსულდგმულვებ, შენთან
შეუღლებაზე ფიქრით!.. და ასეთ
სიყვარულისთვის, ერთგულებისთვის
ესაა შენი პასუხი?

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

სხვაგვარ

პასუხს ნუ ელი!

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

ვერ დავიჭერებ,
რომ შენ ეგეთი უგრძნობელი ხარ!
აბა შემეხდე, რას დავემსგავსე!
უშენოდ აღარც სმა-ქამა მახსოვს,
არც ძილი მინდა, არც მოსვენება,
აღარც ხალისი შემრჩა რისიმე!
რატომ მაწვალვებ, ლაურენსია?
ციდან მოფრენილ ანგელოზს ჰგავხარ,
რად ხარ ასეთი მკაცრი? ღმერთმანი,
თუ კიდევ ცოტა გაგრძელდა ასე,
ან თავს მოვიკლავ, ან გავლოთდები!

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

გალოთდები და ჩვენი მკითხავი
მოგარჩენს, მაგის წამალი იცის!

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

ერთი წამალი მომარჩენს მხოლოდ —
შენი თანხმობა!

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

ჰო. კარგი ახლა!
ამდენ ლაპარაკს, ისა სჯობია,
მამაშენს. ქერა ხუანს, გაანდო
ეგ შენი ზრახვა ახირებული.
მოითათბირეთ, აწონ-დაწონეთ
და თუ დათანხმდა... მაშინ...

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

რა, მაშინ?

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

ჯერ არ მიყვარხარ, მაგრამ, ვინ იცის...
ვნახოთ, ამქვეყნად რა არა ხდება!

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

ვილაცა მოდის... სენიორია!

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

სანადიროდ თუ მიეხეტება!..
არ დაგინახოს, აგერ იმ ბუჩქებს,
ამოეფარე! რას დგანარ, ჩქარა!

ფრონდოზო იმალემა.

კოპანდორი არბალეთით ხელში, ლაურენსია,
ფრონდოზო — ბუჩქებში მიმალული.

კოპანდორი

ბედს ვეწიეო. -- ესაა სწორედ:
ტახს ვეძებდი და შველს შევეყარე!

ლაურენსია

მე... მე აქ, ხის ქვეშ, დასასვენებლად
ჩამოვჯექ ერთ წამს... სარეცხსა ვრეცხდი...
თქვენი ნებართვით, წავალ, სენიორ...

კოპანდორი

მოიცა ერთ წამს! ეგ გულგრილობა
და ეგ სიკერპე სულ არ შეჰფერის
იმ სილამაზეს, რომლითაც ზეცამ
შენ ასე უხვად დაგაჯილდოვა!
ბევრჯერ დამისხლტი ხელიდან, ბევრჯერ
არად ჩააგდე ჩემი კაცობა,
მაგრამ ამჯერად ვერ გამექცევი,
ვერსად წამიხვალ! ჩემი შემწეა
ეს უდაბური, მყუდრო ადგილი!
მომბეზრდა შენთან კუკუმალობის
თამაში! ისლა მაკლია, ვილაც
ცხვირმოუხოცელ სოფლელმა გოგომ
დამკონოს ხალხში და დაიკვებნოს:
„ჩვენი ბატონი ბევრს ეცადაო,
მაგრამ ვერაფერს გახდაო ჩემთან!“
აი, მიყურე, რას ვიზამ ახლა:
ლაპარაკში რომ დრო არ დავკარგო,—
შენ მაინც სიტყვა არ გესმის ჩემი!—
ჯერ მივაყუდებ ხის ქვეშ არბალეტს,
მერე მოვიხსნი ჩანთას, მათარას,
და მერე, როგორც მუნჯი — მუნჯურად,

შარტო ხელებით გესაუბრები! (მივარდება და
ხელს სტაცებს)

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

გონს მოდიო! ხომ არ გაგიჟდით?!

კ ო მ ა ნ დ ო რ ი

ნუ მეურჩები, ქალო! ^{კმარა,} დამნებდი!

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

ღმერთო ძლიერო! მიშველეთ. ვინ ხართ!

კ ო მ ა ნ დ ო რ ი

რამ შეგაშინა, ჩვენს მეტი ახლა
არავინაა აქ... (ებრძვის)

ფ რ ო ნ დ ო ზ ო (თავს დაადგება არბალეტით
ხელში)

კომანდორო!

ხელი გაუშვით, თორემ, ღმერთს ვფიცავ,
ეგ წმინდა ჯვარი, მკერდს რომ გიმშვენივთ,
ახლა სამიზნედ გამომადგება!

კ ო მ ა ნ დ ო რ ი

ტეტიაე! ძაღლო!

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

ძაღლი არა ვარ. (ლაურენსიას)
გაიქე ჩქარა!

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

ფრონდოზო, ფრთხილად!

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

გაიქე-მეთქი, რაღას უდგახარ?!

ლაურენსია გარბას.

ბ ა მ ო ს ვ ლ ა 12

კ ო მ ა ნ დ ო რ ი და ფ რ ო ნ დ ო ზ ო

კ ო მ ა ნ დ ო რ ი

აზია ჩემზე! რამ გამაბრიყვა,
სატევიარი რომ არ წამოვიღე!..
შენ ეი, გესმის, დაუშვი დაბლა
ეგ არბალეტი! დაუშვი-მეთქი!
პაწაზე დადე!

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

რათაო, ვითომ?

რომ გამაგოროთ აქვე?

კ ო მ ა ნ დ ო რ ი

მუდრეგო,
როგორ მიბედავ?!

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

შეყვარებული,
წელანა ბრძანეთ, მუნჯი არისო.
მუნჯი კი არა, ყ რ უ ა, ბატონო,
და, როცა სატრფოს ექომავება,
არ ესმის, რასაც ეუბნებიან!

კ ო მ ა ნ დ ო რ ი

მაშ, რაღას უცდი, მესროლე ბარემ!
მესროლე ჩქარა და გაათავე,
შე ტილიანო!

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

ვერა, სენიორ,
ვერ გამომიყვანთ მოთმინებიდან,
რაც უნდ მაგინოთ! გლეხი კაცი ვარ,
გლეხებს კაცის კვლა არა გვჩვევია...
წადით თქვენი გზით, თქვენი სიკვდილი
თვითონ მოგნახავთ, როცა დრო მოვა!
ამ იარაღს კი მე დავიტოვებ!

მიღის.

კ ო მ ა ნ დ ო რ ი

ბეწვზე ეკიდა ჩემი სიცოცხლე!
გადავრჩი, მაგრამ... ვაი, სირცხვილო,
როგორ გამთათხა იმ არამზადან?!
ო, რა სასტიკად ვანანებ ამას!

ფ ა რ დ ა

მოქმედება მეორე

სურათი პირველი

მოედანი ფუნტე-ოვეხენაში

ბამოსვლა I

ესტეპანი და ალონხო

ესტეპანი

ისე თქვენ მყავდეთ ჭანმრთელად, როგორც
მე მართალი ვარ! საწყობებიდან
ხორბლის გატანა არ შეიძლება!
არა და არა! წლეულს მოსავალს
პირი არ უჩანს, პოდა, ამიტომ,
მარცვალი უნდა გამოვიზოგოთ!

ალონხო

მეც აქე ვფიქრობ. მშვიდობიანად
მართვა თუ გინდა სახელმწიფოსი,
პირველ ყოვლისა — მეურნეობას
უნდა მიხედო! მარტო ლაქლაქით
და დაპირებით ვერას გახდები,
თუ დააშვიე მოსახლეობა!

იგოენი. ლ ე ო ნ ე ლ ო და ბ ა რ ი ლ დ ო

ლ ე ო ნ ე ლ ო

დავიგვიანეთ! ჩვენს სალაცხოში
სხვები მოსულან!

ბ ა რ ი ლ დ ო

გვიამბე ახლა.
რას აკეთებდი სალამანკაში?

ლ ე ო ნ ე ლ ო

ვსწავლობდი.

ბ ა რ ი ლ დ ო

მაინც. რასა სწავლობდი?

ლ ე ო ნ ე ლ ო

მსურდა ყველაფრის შემეცნო არსი.

ბ ა რ ი ლ დ ო

ხარისხი თუ გაქვს რამე?

ლ ე ო ნ ე ლ ო

ჯერ არა.

ბ ა რ ი ლ დ ო

ერთი რამ მითხარ, გეთაყვა... ახლა
ძალზე მომრავლდა ნაბეჭდი წიგნი.
ნუთუ სუყველა, ვინც ამ წიგნებს წერს,
ანდა კითხულობს — მეცნიერია?

ლ ე ო ნ ე ლ ო

წიგნის სიმრავლემ, ჩემო ბარილდო,
მთლად დააბნია კაცობრიობა!
თავისი ტვირით არავინ ფიქრობს!

დასწაფებია ყველა ამ წიგნებს
და კითხულობენ: სენაკში, სახლში,
წიგნთსაცავებში თუ ლაშქრობის დროს, —
თან ყურადღება დაქსაქსული აქვთ,
შეითვისებენ ზედაპირ ცოდნას,
თავში კი რჩებათ მხოლოდ ბურუსი,
როგორც სილაზე მდინარის ქაფი!..
მე ბეჭდვით სიტყვის არა ვარ მტერი, —
ნან ბევრი შრომა გადაარჩინა
დავიწყებას და დაღუპვას, მაგრამ
სიკეთეს მუდამ სიავეც ახლავს:
რას არ ბეჭდავენ ახლა? ვისაც კი
არ ეზარება, მწერალი ხდება!
ხოლო სუყველას, ვინც წიგნს გამოსცემს,
თავი სწავლულად მოაქვს!

ბ ა რ ი ლ დ ო

და მაინც,

დიდი საქმეა წიგნი, სტუდენტო!

ლ ე ო ნ ე ლ ო

ეჰ, უწიგნოდაც არა უპირდა
კაცობრიობას, — არც ცოდნა აკლდა,
არც განათლება! აბა, მითხარი:
სადა გყავს ახლა იერონიმეს
ან ავგუსტინეს ბადალი ხალხი?!

ბ ა რ ი ლ დ ო

უგუნებოდ ხარ, გეტყობა. დავსხდეთ.

გ ა მ ო ს ვ ლ ა ვ

იგვენი, ქერა ხუანი და გლეხი

ქერა ხუანი

რეთი დროა, ქალის მზითევში
თორმეტ ქცევასაც ნაკლულობს ხალხი!

გ ლ ე ხ ი

შენ კომანდორის ამბავი იცი?

ქ ე რ ა ხ უ ა ნ ი

აბა?! უყურე იმ წუბაკს, იმას!
რა აუტეხა ლაურენსიას!

გ ლ ე ხ ი

მე მაგისტანა უზნეო კაცი
არ მეგულემა დედამიწაზე!
ამ ხის წვერზეა ჩამოსახრჩობი!

გ ა მ ო ს ვ ლ ა 4

აგენი, კ ო მ ა ნ დ ო რ ი, ფ ლ ო რ ე ს ი და ო რ ტ უ ნ ი ო

კ ო მ ა ნ დ ო რ ი

უფალი იყოს თქვენი მფარველი!
რატომ სწუხდებით, ისხედით!

ე ს ტ ე ბ ა ნ ი

არა,
არ გვეკადრება! თქვენ თქვენს ადგილზე
დაბრძანდით, ჩვენ კი ფეხზე ვიდგებით!

კ ო მ ა ნ დ ო რ ი

დასხედით-მეთქი! მე გთხოვთ!

ე ს ტ ე ბ ა ნ ი

სენიორ!
ჩემი ფეხმარდი ყურშა თუ ნახეთ?

კო მ ა ნ დ ო რ ი

კარგი მწევარი გყოლია, მითხრეს...
ჰო, მართლა! სიტყვამ მოიტანა და
იცი. რას გეტყვი? ეგ შენი ძალღი
უნდა მათხოვო, ანდა მაჩუქო!
დიდი ხანია დავდევ ერთ კურდღელს
და ვერაფრით ვერ დამიკერია!
ბევრჯერ დამისხლტა ხელიდან, ბევრჯერ
გამაწბილა და დამტოვა მშრალზე...
ჩამავდებინე როგორმე ხელში!

ეს ტ ე ბ ა ნ ი

სიამოვნებით, მაგრამ სადაა
კურდღელი?

კო მ ა ნ დ ო რ ი

აქვე... შენს ქალზე ვამბობ.

ეს ტ ე ბ ა ნ ი

ჩემს ქალზე? როგორ? ლაურენსია?

კო მ ა ნ დ ო რ ი

ჰო, ასე ჰქვია.

ეს ტ ე ბ ა ნ ი

და თქვენ გსურთ იგი
ჩაიგდოთ ხელში?

კო მ ა ნ დ ო რ ი

ასეც მოხდება,
თუ გაუწყრები, გაჯორავ მაგრად!

ეს ტ ე ბ ა ნ ი

მერე და რისთვის? რა დააშავა?

კომანდორი

რომ არ გაბედოს ჩემთან კერპობა!

ესტებანი

არ გეკადრებათ, სენიორ, ჩემთან
ეგ ლაპარაკი.

კომანდორი

დახე, ტეტოას!

მეკამათება კიდეც!

ესტებანი

სენიორ!

ჩვენ ყველას თქვენი მფარველობის ქვეშ
მშვიდობიანი ცხოვრება გვინდა.

ნუ გაგვიმწარებთ ლუკმას, რომლითაც
თქვენი წყალობით საზრდოობს ბალხი!

თქვენ, მართალია, წარჩინებული
პირი ბრძანდებით, ჩვენი ბატონი,

მაგრამ ფუენტე ოვეზუნაში

ცოტა როდია ადამიანი

ღირსეული და პატივსაცემი!

ლეონელო

ეს ვინ ყოფილა! რა თავბედია?!

კომანდორი

ეი, რეხიდორ! თქვი, თუ ღმერთი გწამს,
ვის ვაწყენინე?

ალონზო

თქვენი სიტყვები

შეურაცხყოფას გვაყენებს ყველას!

რატომ გვამცირებთ ასე? რად ბლალავთ

ჩვენს კაცობას და ნამუს-ღირსებას?!

კო მ ა ნ დო რ ი

ღირსებასაო? დასწყევლოს ღმერთმა!
ვესმით, ბიჭებო? ამ მათხოვრებსაც
ჰქონიათ თურმე ღირსება?!.. იქნებ
რაინდებიც ხართ? მითხარით, ბარემ:
რომელ რაინდულ ორდენს ეკუთვნით?

ა ლ ო ნ ზ ო

სენიორ, იმან დაიტრაბახოს
თავის ღირსებით, ვისაც შემთხვევით
ერგო ეგ ჯვარი, ახლა თქვენ გულზე
რომ გიკეთიათ... თქვენი სისხლი კი,
ჩვენსას არაფრით არა სჯობია!

კო მ ა ნ დო რ ი

რას მეუბნები?! იქნება უფრო
ბინძურიცაა? მაშ ჩემი მღვრიე,
მურდალი სისხლი რომ შევურიო
თქვენსას, წახდება თქვენი ჯილაგი?!

ა ლ ო ნ ზ ო

კაცს მხოლოდ მისი ბიწიერება
წაახდენს!

კო მ ა ნ დო რ ი

მაგრამ თქვენი ცოლები
სხვას რომ ფიქრობენ? მათ ჩემი სისხლი
ჭრულებითაც არ ეუცხოებათ,
ხოლო ალერსი და მოფერება
მოსწონთ კიდევაც და სიამოვნებთ.

ე ს ტ ე ბ ა ნ ი

სენიორ, რატომ კადრულობთ ამას?!
ეგ, რაც თქვით, არის ცილისწამება
და აქ კაციშვილს არ სჯერა თქვენი!

კომანდორი

ამ ტექტიებში ყოფნა მართლაც რომ
მოსაწყენია! აფსუს ქალაქი!
იქ წარჩინებულ კაცს შეუძლია
დრო გაატაროს თავის ნებაზე!
იქ ქმრებიც უფრო საღად მსჯელობენ
და უხარიათ, როს დიდებულნი
მათი ცოლების სანახავად და...
გასამხნეველად დაბრძანდებიან!

ესტებანი

სცდებით, სენიორ! ქალაქებშიაც
არის ღმერთი და არის კანონი!

კომანდორი

გასწით აქედან!

ესტებანი (ალონზოს)

ჩვენ გვეუბნება?
სუყველას?

კომანდორი

გასწით, რაღას უდგახართ?!
კაცი არ ვნახო აქ, მოედანზე!

ესტებანი

წავალთ, ბატონო...

კომანდორი

ერთად კი არა,
ცალ-ცალკე წადით!

ფლორენსი (კომანდორს)

ნუ გაფიცხდებით,
არ ღირს.

კომანდორი

მაგათი ქოქი კი გაწყდა!
ვანა არ ვიცი, წავლენ ახლა და
სადმე სხვა ადგილს მოყუჩდებიან
და გააბამენ ლაქლაქს!

ორტუნო

სენიორ,
ცოტა სიმშვიდე და მოთმინება!

კომანდორი

ისედაც მიკვირს, აქამდე როგორ
ვითმენდი!.. წადით სახლებში ყველა!
მაგრად დაკეტეთ კარი და გარეთ
არ გამოხვიდეთ! გესმით, რას ვამბობ?!

ლეონელო

ამას რას ხედავს ჩემი თვალები?!

ესტებანი

თქვენ — იქით... მე კი — ჩემი გზით წავალ!

გლეხები გადიან.

ბამოსვლა 5

კომანდორი, ორტუნო და ფლორენსი

კომანდორი

ვისთან გვაქვს საქმე. ხედავთ?!

ორტუნო

სენიორ,
რაც გულში უდევთ, იმას ამბობენ,
თქვენ კი, რატომღაც, არ გჯერათ მაინც,

რომ მოთმინების ფიალა მათი
უკვე აივსო.

კომანდორი

და მერე რაო?
განა შე მათი ბატონი არ ვარ?

ორტუნიო

არა. შე მაგას არ გეუბნებით.

კომანდორი

ის კი, ის ხეპრე, არბალეტო რომ
ამართვა, დადის თავისუფალი?

ფლორესი

წუხელ, ერთ ყმაწვილს იმის მაგივრად
მოხვდა მაგარი! ღამის წყვედიადში
ლაურენსიას სახლთან ვილაცა
მას მივამსგავსე... მივეპარე და
ვუთაქე თავში!

კომანდორი

სად იმალება
ფრონდოზო?

ფლორესი

აქვე იქნება სადმე.
დაეხეტება ტყე-ტყე.

კომანდორი

უყურე,
არ ეშინია ძაღლიშვილს! მას ზომ
მოკვლა უნდოდა ჩემი!

ფ ლ ო რ ე ს ი

ეტყობა,

ან-უნწოაც არ აგდებს თავის
ბატონის წყრომას! მაგრამ სად წავა?
ჩიტაც რომ იყოს, მწერიც რომ იყოს,
ამ ტყეში ვერსად დაგვემალება!

კ ო მ ა ნ დ ო რ ი

ნე თავს ვიკაეებ, თორემ, მერწმუნე,
თუ გამოვედი მოთმინებიდან,
ერთი საათიც არ დამჭირდება,
რომ მთლად აღევადო მიწის პ-რისგან
ეს დაწყევლილი, ურჩი სოფელი!
დავწვავ! ქვას-ქვაზე აღარ დავტოვებ!
საკლთარ ხელით დავახრჩობ ყველას!..
არათერია, ამის დროც მოვა!
ჯე-ჯე-ობით კი, რა გაეწყობა.
შურისძიების მრისხანე გრძნობა
გონებას უნდა დაეუმორჩილო.
რათ — პასკვალამ?

ფ ლ ო რ ე ს ი

ორ-სამ კვირაში

გავთხოვდებიო. შენმა ბატონმა
დამაცალოსო ცოტაც!

კ ო მ ა ნ დ ო რ ი

მაშ, ვადის

გაგრძელებას მთხოვს?

ფ ლ ო რ ე ს ი

რისთვისაც უხვად

დაგაჰილდოვებთ! ნაღდ ანგარიშზე
გაგისწორდებათ!

კომანდორი

მარინამ. რაო?

ფლორესი

ექვიანობსო ჩემი საქმარო,
სულ კულში დამდევს, არ მცილდებო!
იმანაც გთხოვთ, ცოტა ადროვოთ,
სანამ იმ ყეყეჩს დააშოშმინებს
და მერე -- იქაც გზა გახსნილია!

კომანდორი

ინესა ნახე?

ფლორესი

ეგ რომელია?

კომანდორი

ანტონის ცოლი.

ფლორესი

ო, ის ნზადაა

მოგემსახუროთ, როცა ჯი გნებავთ!

კომანდორი

მიყვარს ქალები! განსაკუთრებით
აი ეგეთი, თავქარიანი
ქალები მიყვარს, დიდხანს დევნა რომ
არა სჭირდებათ!.. ერთია მხოლოდ —
სულ არ ვაფასებ ამნაირ ქალებს!
თუმცა რა ჩემი ბრალია? მაგათ
თავისი ფასი თვით არ იციან!
კიდევ კარგი, რომ ეგრეა, თორემ
მათ რომ იცოდნენ თავისი ფასი,
მამაკაცები სულ ერთიანად
ქალების დევნას გადაეყვებოდით!

ბ ა ნ ო ს მ ლ ა 6

იკოვნი და სიმბრანოსი

სიმბრანოსი

კომანდორს ვეძებ. სადაა?

ორტუნიო

აგერ!

სინბრანოსი

სახელოვანო ფერნანდო გომეც,
ისევ საბრძოლო საყვირი გიხმობთ!
ეგ მწვანე ჩაჩი უნდა შესცვალოთ
ელვარე ზუჩით, ხოლო ხიფთანი —
ჯაჭვის პერანგით და საჭურველით!
თქვენს სამფლობელოს — სიუდად-რეალს
მოულოდნელად თავზე დაესხა
კასტალიელი ბელმწიფის ჯარი!
აღყაშემორტყმულ ქალაქში დარჩა
ყრმა დონ როდრიგო ტელეც ბირონი!
თუ მას დროულად არ მიეშველეთ,
არ დაატეხეთ მტერს თავზე რისხვა,
სიუდად-რეალს — განადგურება,
ხოლო დიდ მაგისტრს — ტყვეობა ელის!
იჩქარეთ!

კომანდორი

კმარა! ლაპარაკის დრო
არაა ეხლა! შენ, ორტუნიო,
დაპყარ დაფდაფებს! ამ წუთში ყველა
აქ გამოცხადდეს!.. სულ რამდენი ვართ
ჯარისკაცები?

ორტუნიო

ორას კაცამდე.

კომანდორი

ვეჯოჯით... აბა, ცხენებზე ყველა!

სიმბრანოსი

თუ არ აჩქარდით, სიუდად-რეალს
კასტილიელთა მეფე დაიპყრობს!

კომანდორი

ეგ არ მოხდება, ნუ გეშინია!

სწრაფად გადის.

ზანოსვლა 7

ტე ფენბე ოვეხენას ახლო. ლაურენსია,
პასკეალა და მენგო

პასკეალა (მენგოს)

ნუ მოგვშორდები.

მენგო

გეშინია თუ?

ლაურენსია

აქ. სადღაც ახლო ნადირობს ხოლმე...

უდაბურია ეს ადგილები

და ჩვენ, ქალები, იმისი შიშით

მუდამ ჭგუფ-ჭგუფად დავიარებით.

მენგო

ჰაი, დედასა! როგორ დაგაჯრთხოთ!

ჭირია, მოკლედ, აქაურობის!

ლაურენსია

ჭირი და მეტი! ოღონდ კი ქალი

იხელაოს სადმე მყუდრო ადგილას, —

ყმაწვილია თუ ხანშიშესული,
ალარ დაეძებს!

მ ე ნ გ ო

გაუსკდა მიწა!
მეხი დაეცა იმ შეჩვენებულს!

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ

იგვენი და ხ ა ს ი ნ ტ ა

ხ ა ს ი ნ ტ ა

მიშველეთ, ხალხნო! ღვთის გულისათვის,
დამმალეთ საღმე!

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

რა დაგეშართა?

პ ა ს კ ვ ა ლ ა

ა.

ნუ გეშინია, ჩემო ხასინტა,
აქ ვართ!

ხ ა ს ი ნ ტ ა

კომანდორს ჯარისკაცები
სალაშქროდ მიჰყავს... გზაში შემთხვევით
გადავეყარე და სენიორმა
ჩემი დაჰკერა ბრძანა... იმათთან
უნდა წავეთრე... დამღვევენ ახლა...

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

რით დაგეშმარო, შე საცოდავო?!
შენ თუ ასეთი რამ დაგიპირეს,
მე რას მიზამენ?! (გარბის)

პ ა ს კ ვ ა ლ ა

აბა, რა გიყო?!

მამაკაცი რომ ვყოფილიყავი,
დაგიფარავდი! ქალი ვარ მეცა (ვარბის)

მ ე ნ გ ო

მე კი კაცი ვარ და ქუდი მხურავს
და არ შევარცხვენ ვაეკაცის სახელს!
მოდლი აქ, ჩემთან ახლო იყავი!

ხ ა ს ი ნ ტ ა

იარალი გაქვს?

მ ე ნ გ ო

რამდენიც გინდა!

ხ ა ს ი ნ ტ ა

სადაა?

მ ე ნ გ ო

აგერ, ეს ქვები! რაო?

განა სასროლად არ გამოდგება?
მე შენ გეტყვი და დავაცდენ ნიშანს!

ბ ა მ ო ს ვ ლ ა ო

იგივენი, ფლორესი, ორტუნიო და ჯარისკაცებო

ფლორესი

როგორ გეგონა, ვერ გიპოვიდით?

ხ ა ს ი ნ ტ ა

მიშველე, მენგო!

მ ე ნ გ ო

შეჩერდით, ხალხო!
არა გრცხვენიათ?

ო რ ტ უ ნ ი ო

უყურე ამას!
შენ ვინა გდიხარ? გაიწი იქით!

მ ე ნ გ ო

ნათესავია ჩემი ეს ქალი!
ხელი არ ახლოთ, თორენა..

ფ ლ ო რ ე ს ი

რაო? •
სიცოცხლე ხომ არ მოგძულეზია?!

მ ე ნ გ ო

ათ გავგულისდი და ეს შურდული
დავატრიალე, მე ვიცი მაშინ
ოქვენი აშბავი!

გ ა მ ო ს ვ ლ ა 10

იგვენი და კომანდორი, სიმბრანოსი

კომანდორი

რა დაგემართათ?!
ერთი ვილაცა გომბიოსათვის
ცხენიდან უნდა ჩამომიყვანოთ?!

ფ ლ ო რ ე ს ი

სენოორ! გვებრძვის ეს ოჯახქორი!
სწორი თქვით მაშინ: გასაწყვეტია
მთელი სოფელი!

შ ე ნ გ ო

ჩემო სენიორ!

თუ რაინდული თვისება არი
სანართლის დაცვა და მოწყალება,
გეჟუდარები. ნუ გაგვიპეტებ
და ნუ ჩაგვაგდებ საატრეცოდელაშ!
აშპობენ, თითქო შენ განგობრაზხავს
აი. ეს ქალი, ეს პატარძალი,
საქმროს წაართვა და ლაშქრობაში
თან გაუყოლო!.. ნუ იზამ ანას!
ნება მონეცი, შინ მოვიყვანო
თავის მშობლებთან...

კ ო მ ა ნ დ ო რ ი

მაგის უფლებას

გაძლევ: მსახურნო, თქვენც გაძლევთ ნებას,
რომ ვაუხწორდეთ, როგორც შეჭფერის!
დადე შერდული!

შ ე ნ გ ო

სენიორ!

კ ო მ ა ნ დ ო რ ი

ფლორეს!

შენც. ორტუნიო და შენც, სიმბრანოს!
შეჰკარით მაგრად შურდულის თანმით
და მიაკარით აგერ იმ ხეზე,
მერე მაგ თქვენი ფართო ქანრებით
ურტყით და ურტყით! ურტყით მანამდე,
სანამ ბალთები დაწყდება ქამრებს!

შ ე ნ გ ო

სენიორ, რატომ მიმეტებთ, მე ხომ...

კ ო მ ა ნ დ ო რ ი

ხმა-კრინტი! აბა, მიდით, ბიჭებო!

მ ე ნ გ ო

ღკერთო ძლიერო! ხედავ, რა ხდება?
ნუთუ შეარჩენ ამ ბოროტებას?!

ფლორესს, ორტუნოს და სიმბრანოსს გაჰყავთ მენგო.

ბ ა მ ო ს ვ ლ ა 11

კ ო მ ა ნ დ ო რ ი, ხ ა ს ი ნ ტ ა და ჯარსკაცები.

კ ო მ ა ნ დ ო რ ი

შე უბედურო, რომ გამირბოდი —
სად გამირბოდი? ეგეც არ იყოს.
რითი მჯობია ვიღაც გლეხუკა
მე — კეთილშობილ რაინდს. შენს ბატონს?

ხ ა ს ი ნ ტ ა

კეთილშობილი ბრძანდებით, დიახ,
მაგრამ არც ჩვენ ვართ თქვენზე ნაცლები,—
თუ იმ სასწოროზე, რომლითაც სწონით,
ჩვენს პატიოსან ქალობას დასდებთ!

კ ო მ ა ნ დ ო რ ი

შენ თუ გგონია, უკმეხი სიტყვით
ჩემს მრისხანებას დააცხრობ, — სცდები.
გასწი!

ხ ა ს ი ნ ტ ა

სად? ვისთან?

კ ო მ ა ნ დ ო რ ი

ჩემთან წამოხვალ.

ხ ა ს ი ნ ტ ა

სენიორ, მე გთხოვთ... გონს მოღრით!

კომანდორი

კარგი.

გონს ჰოვალ, რაკ შენ ასე გინდა...

აღალში წახვალ! იქ ჩემს მაგივრად.

ჩემს ჯარისკაცებს ასიამოვნებ.

მათ მიუღებდებ შენს თავს... ეს მოგწონს?

ხასინტა

ო, შემიბრალებთ!

კომანდორი

არა, ძვირფასო.

ჩემს ნათქვამს აღარ გადავთქვამ!

ხასინტა

მხეცო!

რას შემართლები, რა გინდა ჩემგან?!

კომანდორი

აბა, იარე!

ხასინტა

წმინდაო ღმერთო,

შენ დამიფარე განსაცდელისგან!

ხასინტა გაჰყავთ

ზამოსვლა 12

ქუჩა ფუნტე ოვეზუნაში.

ლაურენსია და ფრონდოზო

ლაურენსია

ფრონდოზო! ხომ არ გაგიყებულხარ?

არ იცი განა, თუ დაგიქირეს,

რას დაგაწევენ?

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

შენთვის მინდოდა
მეჩვენებინა, როგორ მიყვარხარ!
თანაც სერიდან თვალი მოვკარი
კომანდორს თავის ჯარისკაცებით,—
ქუდმოგლეჯილნი გარბოდნენ სადღაც...
უმაღვე შენსკენ გამოვეშურე!
შენ ხომ არ გამცენ? ჰა? არ დამლუპავ?
თუმცა, მე ვიცი, თუ რა დამლუპავს,
მხოლოდ და მხოლოდ — შენი უარი!
საით წაშავდა ის უწმინდური?

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

სალაშქროდ.

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

სულაც მოუსავლეთში
წასულა!

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

ბიჭო, ნუ ამბობ ეგრე, —
გამიგონია, ვისაც სწყევლიან,
ის თურმე უფრო დიდხანს ცოცხლობსო!

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

მაშინ იცოცხლოს ათასი წელი!
ლაურენია, შენ შემოგეველე,
როდის მაღირსებ სანატრელ პასუხს?
შენ კარგად იცი, როგორ მიყვარხარ, —
დღეა თუ ღამე — სულ შენზე ვფიქრობ,
სულ თვალწინ მიდგას შენი ხატება!
მთელს სოფელს შენი საქმრო ვგონივარ,
ყველას საცოლე ჰგონიხარ ჩემი...
რად ხარ ასეთი გულდახურული,
ბოლოს და ბოლოს, თქვი: ჰო თუ არა?

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

პო.

ფ რ ი ნ დ ო ზ ო

ღმერთო ჩემო! ხომ არ მატყუებს
სმენა?

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

პო-მეთქი, ჩემო ფრონდოზო.
ამას აქ ვამბობ და შეგიძლია
მთელს სოფელს ამცნო... მე თანახმა ვარ!

ფ რ ი ნ დ ო ზ ო

ნება მომეცი ამ სიტყვებისთვის
პირქვე დავეწხო და სასოებით
დავკოცნო შენი ტერფების კვალი!
შენ გამაცოცხლე! ასე მგონია,
მკვდრეთით აღვსდექი!

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

ადექი მართლა
და ზედმეტ სიტყვებს ნუ ლაპარაკობ!
ახლავე უნდა შეუდგე საქმეს.
მოეთათბირე მამაჩემს... აგერ
ღარიც, აქეთკენ მოემართება!
მიდი, უთხარი... მოკლედ, შენ იცი,
რაა საჭირო! მე კი პირობას
გაძლევ, რომ შენი ცოლი გავხდები!
სახლში შედის.

ფ რ ი ნ დ ო ზ ო

შენი იმედით ვარ ახლა, ღმერთო!

ე ს ტ ე ბ ა ნ ი, ა ლ ო ნ ზ ო და ფ რ ო ნ დ ო ზ ო

ე ს ტ ე ბ ა ნ ი (ალონზოს)

თვალა ლალატობა... აბა, შეხედე:

ის ფრონდოზოა?

ა ლ ო ნ ზ ო

ის არი, დიახ.

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

სენიორ! თქვენთან საუბარი მსურს.

ნება მომეცით...

ე ს ტ ე ბ ა ნ ი

უნებართვოდაც

შეგიძლია თქვა. უცხო არა ხარ, —

ერთადერთ ჩემი ქალიშვილისგან

არ გაგანსხვავებ. — ჩემი გაზრდილი,

შენც ასეთივე შვილი ხარ ჩემი!

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

ამიტომ ვბედავ უმორჩილესი

თხოვნით მოგმართოთ... თქვენ იცით, ვინ ვარ.

ე ს ტ ე ბ ა ნ ი

შენც შეურაცხყო იმ მხეცმა?

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

დიახ...

ე ს ტ ე ბ ა ნ ი

მეც შენი წყენა გავიზიარე!

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

ჩემო სენიორ! თქვენ იცით, ვინც ვარ.
ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმარი
ყოფილხართ... გეტყვით დაუფარავად:
ლაურენსია მიყვარს და მინდა
ცოლად ვითხოვო!.. თუ მაპატიებთ
კადნიერებას, რომ ასე უცებ
გამოვთქვი ჩემი გულისნადები,
თქვენს მოწყალებას მივიღებ, როგორც
მოსალოდნელი თანხმობის ნიშანს!

ე ს ტ ე პ ა ნ ი

ფრონდოზო, შეილო! შენი სურვილი
ჩემსას ემთხვევა და მიხანგრძლივებს
სიცოცხლის დღეებს!

ა ლ ო ნ ზ ო

კი მაგრამ, თვითონ
ქალი რას ამბობს? თუა თანახმა?

ე ს ტ ე ბ ა ნ ი

განა არ იცი ახალგაზრდების
ამბავი? მაგათ წინდაწინ უკვე
მოითათბირეს და გაჩარხული
ექნებათ საქმე! ასე არ არი?..
აზლა მზითევზე უნდა ვიფიქროთ.
დიდი სიმდიდრით ვერ დავიკვებნი,
მაგრამ ღარიბიც არ ვარ იმდენად,
რომ ჩემს ქალიშვილს დავაკლო რამე!

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

არ ვსაქიროებ მზითევს, სენიორ,
თქვენი ასულის ხელსა. გთხოვთ მხოლოდ!

ალონზო

ო, ეს ისეა შეყვარებული, —
დედაშობილა რომ გააყოლოთ,
იმაზედაც კი დათანხმდებოდა!

ესტებანი

მაშინ ვკითხოთ თვით ლაურენსიას!

ფრონდოზო

აუცილებლად!

ესტებანი (ეძახის)

ლაურენსია!

გამოსვლა 14

იგივენი და ლაურენსია

ლაურენსია

რა გნებავთ, მამავ?

ესტებანი (ალონზოს)

აკი გითხარი!

დაძახებაც კი ვერ მოვასწარი,
აქ გაჩნდა წამსვე! ჩემო გოგონავ,
რას იტყვი... ცოტა იქით გავიდეთ...
რას იტყვი, შვილო, ამ ჩვენს ფრონდოზოს
ჩემი დისშვილი ლოლა რომ შევერთოთ?
არ უნდა იყოს ურიგო ბიჭი?!

ლაურენსია

ლოლა თხოვდება?

ესტებანი

რატომაც არა.

თუკი მთხოვნელი გამოუჩნდება.

ლაურენსია

მე ვფიქრობ, მაშავ... კარგი იქნება!

ესტებანი

მაგრამ ლოლა რომ ულამაზოა?

იქნებ აჯობებს, აჰ ჩვენს ფრონდოზოს
შენ გაპყვე ცოლად?

ლაურენსია

ხუმრობას მაინც

არ იშლით, თუმცა გაქალაჩავდით!

ესტებანი

გიყვარს ფრონდოზო?

ლაურენსია

საკმარისია

ისიც, რომ მასთან მახარებს ყოფნა.

რატომ და რისთვის — ნუ მეკითხებით!

ესტებანი

მაშ, თანახმა ხარ?

ლაურენსია

დიახ, ბატონო.

ესტებანი

ძალიან კარგი! ახლა მე ვიცი...

(ალონზოს) წავიდეთ, ვნახოთ ჩემი მძახალი!

ა ლ ო ნ ზ ო

წავადეთ.

ე ს ტ ე ბ ა ნ ი (ფრონდოზოს)

მზითვის რა ვუთხრა, შვილო?
ოთხ ათასამდე მარავედს მოგცემთ.
მეტე...

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

სენიორ, რად შეურაცხყოფთ?!
მე არაფერი არ მინდა თქვენი,
მათხოვარი კი არა ვარ!

ე ს ტ ე ბ ა ნ ი

მესმის,
განა არ მესმის, მაგრამ, ხომ იცი,
მზითვის აღება წესია ჩვენში.
თუ არ მოგეცი, ან არ აიღე,
მერე ინანებ... მომავალზედაც
უნდა იფიქრო, შე დალოცვილო!
ესტებანი და ალონზო გავლენ.

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

კმაყოფილი ხარ?

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

კმაყოფილიო?
თავი სიზმარში მგონია, ლამის
გადავირიო სიხარულისგან!
ნუთუ, ძვირფასო, ეს მართალია?
ნუთუ ნამდვილად ჩემი ხარ, ჩემი?!
დიდება შენი სახელის, ღმერთო,
ძლივს არ ველირსე ამ ნეტარებას!
ერთად გავლენ.

მინდობი ფუნტე ოვეხუნას ახლო. საქორწინო პროცესია. მემუსიკენი, მენგო, ფრონდოზო, ლაურენსია, პასკვალა, ბარილდო, ქერა ხუანი, ესტებანი.

მემუსიკენი (მღერთან)

მრავალჯამიერ,
ნეფე-დედოფალს!
ღმერთმა აშოროს
ყველა დარდები!
გამრავლდნენ ქვეყნად
და გაიხარონ
და გაიფურჩქნონ,
როგორც ვარდები!

მენგო

მაგ კუპლეტების მოსაჩინახავად
დიდი ჯათა არ დაგვირდებოდათ!

ბარილდო

თუ შეგიძლია, თქვი უკეთესო!

ფრონდოზო

მენგომ სიმღერის რა იცის, კაცო!
მაგას მათრახის ამბავი ჰკითხე, —
მთელი ზურგი აქვს აპრელეზული!

მენგო

აა კაცთან მარტო რას გავხდებოდ-?
წამაქციეს და მირტყეს!.. ეგ რაა!
ერთ კაცს... არ მინდა დავასახელო,
პატივსაცემი პირია... მელნის
ოყნა შეასხეს ქვიშანარევი!
კინალამ მოკვდა ის უბედური!

ბ ა რ ი ლ დ ო

შენ არ გეწყინოს, მენგო, ჩვენ ვხუმრობთ!

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

ლექსი გვითხარი, ისა ჯობია.

ოღონდ კობტა და დალაგებული!

მ ე ნ გ ო

რასაც ახლა ვიტყვი,—

არ გაუვა წყალი:

დღეგრძელ იყოს ჩვენი

ნეფე-დედოფალი!

გაეკეთოთ ბუდე

და ცხოვრობდნენ წყნარად,

თავიანთი მშობლის

გულის გასახარად!

ლულუნებდნენ ტკბილად,

როგორც ორი მტრედი,—

საფლავშიაც ჩაწენენ

ერთმანეთის გვერდით!

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

რას გვერჩი, ძმაო?! დაქორწინება

ვერ მოვასწარით და უკვე გემარხავ?!
••

ბ ა რ ი ლ დ ო

ისე კი --- მალე გამოთქვა ლექსი,

ნიჭიერია, ეტყობა!.. ახლა

ნეფე-დედოფალს ვაცალოთ!

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა (ქერა ხუანა)

მამაკე.

ნება მომეცით, ხელზე გემთხვიოთ!

ქერახუანი

დამილოცნიხართ, ჩემო შვილებო!
იღლეგრძელეთ და იბედნიერეთ!
(ლაურენსიას)
მამაშენთანაც მიდიო. იმანაც
უნდა დაგლოცოთ!

ესტებანი

ღმერთო ძლიერო!
შენი კურთხევა მოჰმადლე ამათ!

ფრონდოზო

ახლა ორივემ დაგვლოცეთ ერთად!
(დალოცავენ)

ქერახუანი

აღსრულდა! აბა, მემუსიკენო,
სიმღერა. ერთი კარგი სიმღერა!

მემუსიკენი (მღერიან)

სოფლიდან გამორბის ტურფა თვალწარმტაცი,
თმები გასწეწია ქალს.

მას კლატრაველი რაინდი მამაცი
მისდევს, არ აშორებს თვალს!

ბუჩქებს თავს აფარებს გოგონა სწრაფადა,
შემკრთალი, ფოთლებში ზის

და ფიქრობს, ამ მყუდრო საფარში აღბათა,
ველარ მომაგნებსო ის!

„ამოდ მემალვი ფოთლებით ბურვილი.
ლამაზო, რაც გინდა ჰქენ.

ვეფხვივით სწრაფი ვარ, შმაგი მაქვს სურვილი,
ბუჩქებშიც მოგნახავ შენ!“

ახლოა რაინდი!.. ქალი კი, ნარნარი,
ტოტების ბადესა წნავს!

ფიქრობს, დაიფარავს ეს ზღუდე მაგარი
და საფრთხეს დააღწევს თავს!

იმ ტრფობის შეწვენით. მასში რომ ელვარებს,
სჯერა. გადასცურავს ზღვას,
მთებსაც გადალახავს... მაგრამ უღმობელი
რაინდი დასძახის მას:
..აჰაოდ მემალვი შტოებით ბურვილი,
ლამაზო, რაც გინდა ჰქენ,—
ვეფხვივით სწრაფი ვარ, მძლავრი მაქვს
სურვილი
და ხელში ჩაგიგდებ შენი“!

გ ა მ ო ს ვ ლ ა 16

ი გ ი ვ ე ნ ი, კ ო მ ა ნ დ ო რ ი, ფ ლ ო რ ე ს ი, ო რ ტ უ-
ნ ი, ს ი მ ბ რ ა ნ ო ს ი და ჯ არ ს ი კ ა ე ბ ი.

კ ო მ ა ნ დ ო რ ი

შესდექით. ხალხო! ფეხი არავინ
დასძრას აქედან!

ქ ე რ ა ხ უ ა ნ ი

ჩვენო სენიორ!
ჩვენ არ ვთამაშობთ, ჩვენ ქორწილი გვაქვს,
მხოლოდ ამისთვის მოვედით აქა...
მაგრამ რაკი თქვენ ბრძანებთ, ინებეთ...
გაჩუმდით, ხალხნო! ჩვენი ბატონი
ბრძოლის ველიდან დაბრუნებულა,
ეტყობა, მტერზე გაუმარჯვნია
და ეს ამბავი უნდა გვაუწყოს!

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

ნე დავიღუპე!

¹ თარგმანი კ. მაყაშვილისა.

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

გაიქეც ჩქარა!
ჰო, თავს უშველე!

კ ო მ ა ნ დ ო რ ი

დააპატრმრეთ!

ქ ე რ ა ხ უ ა ნ ი

დანებდი, შვილო! არ დაიღუპო
თავი!

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

დავნებდე? გინდა რომ მომკლან?!

ქ ე რ ა ხ უ ა ნ ი

რად უნდა მოგკლან?

კ ო მ ა ნ დ ო რ ი

მე უსამართლოდ
არავისა ეკლავ! რომ მდომებოდა.
ეუბრძანებდი და ჭარისკაცები
შენს შეილს აქვე, შენს თვალწინ აჩუხდნენ!..
ეს ვაებატონი დილეგში ჩასვით!
მის დანაშაულს მისივე მამა
გამოიძიებს და განაჩენსაც
ის გამოუტანს!

პ ა ს კ ვ ა ლ ა

ცოლს იტავს დღესა!

კ ო მ ა ნ დ ო რ ი

ამ საპატიო მოვალეობას
სხვაც შეასრულებს — მანაკაცები
ბევრია სოფლად!

პასკვალა

ო. აპატიეთ,
თუ გაწყენინათ!

კომანდორი

არ შემიძლია!
თავისი ქცევით მან შეურაცხყო
დიდი მაგისტრი კალატრავისა!

ესტებანი

მოიცათ ერთ წამს! ჩემო სენიორ!
სიმამრსაც უნდა ჰქონდეს უფლება
დაიცვას სიძე! ეს ახალგაზრდა
არაფერშია დამნაშავე და
რად აპატიმრებთ, ვერ გამიგია!
ნუთუ იმისთვის, რომ ჩემს ქალიშვილს,
თავის გულისწორს გამოესარჩლა?
აბა. რა ექნა? თქვენ ხომ, სენიორ,
ცოლის წართმევა გინდოდათ მისთვის!

კომანდორი

სად ჰყავდა ცოლი?

ესტებანი

დანიშნულები
ხომ იყვნენ, ერთი არ არის, განა?!

კომანდორი

შენ სოფლის საბჭო რომ ჩავაბარე,
იქას მიხედე. ალყალო! შენი
ვექილობა აქ არა გვკვირდება!

ესტებანი

პირში ბურთსა მჩრით? არაფერია,
საქართველოს გზას მაინც მოვნახავ!

კასტოლიაში წავალ მეფესთან!
ისაა ქვეყნის ბატონ-პატრონი
და ის მოღლებს ბოლოს თქვენს ამგვარ
თავგასულობას!

კო მ ა ნ დო რ ი

წაართვით კვერთხი!

ეს ტ ე ბ ა ნ ი

წაიღეთ, მაინც რაში მარგია!

კო მ ა ნ დო რ ი

გადავატეხავ თავზე!

ეს ტ ე ბ ა ნ ი

დამკარით!

თქვენგან აღარც ეს გამიკვირდება!

(კომანდორი არტყამს კვერთხს)

პ ა ს კ ვ ა ლ ა

რას შერები, რასა? ჯოხით სცემ მოხუცს!

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა (ეცემა კომანდორს)

ჩემს გამო უხდი სამაგიეროს,

შე საზიზღარო!

კო მ ა ნ დო რ ი (გლუხებს)

ხმა ჩაიწყვიტეთ! (ჯარისკაცებს)

დააპატიმრეთ ესეც! ცალ-ცალკე

დილეგში ჩასვით და მიუჩინეთ

ათ-ათი კაცი თითოს მცველებად!

თუ გაიპარნენ, დაგხოცავთ ყველას!

გადის. ჯარისკაცებს გაჰყავთ ლაურენსია და შებოქი-
ლი ფრონდოზო.

მომხმელება მესამე

სურათი პირველი

ტენტის (საერო საბჭოს) დარბაზი ფუნტე ოვეხუნაში

გამოსვლა 1

ესტებანი, ალონო, ბარილო,
ქერახუანი, მენჯო და სოფლები.

ესტებანი

პატივცემულო თანამომხმენო!
გულდათუთქული ცხარე ცრემლებით,
მე გეკითხებით: ტანჯულ ქვეყანას,
პატივყრილს და შეურაცხყოფილს,
რომელიც დნება ჩვენს თვალწინ, როგორც
სანთელი, — როდის დავასამარებთ?
ვის გაქვთ უფლება ასწიოთ მისი
კუბო, თქვათ სულის სახსენებელი,
როცა ღირსება არ დაგვრჩა არცერთს
შეურყვნელი და შეულახველი!
აბა, კაცი თუ მოიძებნება
ამ ჩვენს ფუნტე ოვეხუნაში, —
სასიკვდილოდ რომ არ გაეწიროს,
არ გაეთელოს. არ ჩაეწიხლოს
იმ ავსულს, იმ უხსენებელს, იმას!

როდემდე უნდა ვითმინოთ, ხალხნო?
რაც ჩვენ დღეში ვართ, ამაზე უფრო
უარესი ხომ აღარ მოხდება?
რალას ვუყურებთ, რას ველოდებით?

ა ლ ო ნ ზ ო

სხვა გზა არ არი: აქედან უნდა
ავიყაროთ და სხვაგან დავსახლდეთ!

ქ ე რ ა ხ უ ა ნ ი

გიშვებენ, მერე?

მ ე ნ გ ო

ეს რომ გაიგონ,
სულ თავდაყირა ჩამოგვკიდებენ!

რ ე ხ ი დ ო რ ი

მაშ, რა ვქნათ? ჩვენი ზომალდის ანძა
გადატეხილა, საჭეც მოშლილა
და უგზო-უკვლოდ, ზღვას მინდობილი,
უფსკრულისაკენ მივექანებით!
აი, შეხედეთ ესტებანს! ყოვლად
პატივისაცემი მოხუცი გახლავთ, —
უბატონოდ ხმას არ გასცემს არვინ, —
მაგრამ — დაინდეს? ქალი წაართვეს,
ქალარა თავზე ალკალდის კვერთხი
გადაამტვრიეს და ახლა, მგონი,
პატიმრობითაც ემუქრებიან!

ქ ე რ ა ხ უ ა ნ ი

რა გვეშველება?!

ა ლ ო ნ ზ ო

რა და, მტარვალი
უნდა ჩაძაღლდეს!

ბ ა რ ი ლ დ ო

ბატონი მოველათ?
რას ამბობ, კაცო. ხომ არ გაგიყდი?!

ე ს ტ ე ბ ა ნ ი

უფალს შემდეგ — დედამიწაზე
ერთია ჩვენი ბატონი — მეფე!
და თუ უფალი ჩვენს მხარეზეა,
შიშს, ორქოფობას რა უნდა ჩვენთან?!

მ ე ნ გ ო

სიფრთხილეს მაინც თავი არ სტკივა!
ეს საქმე უნდა აეწონ-დაეწონოთ,
რომ არ ჩავეარდეთ უარეს დღეში!

ქ ე რ ა ხ უ ა ნ ი

მეტი რა გინდა, შე დალოცვილო?!
ცოცხლად გვმარხავენ! ჩვენი სახლები
გაძარცვულია და წაბილწული,
ჩვენი ნაშრომი და ნაოფლარი
სხვას მიაქვს... არა, შურისძიება!
შურისძიება მხოლოდ! ჩვენ მეტი
აღარაფერი არ დაგვრჩენია!
სისხლი სისხლის წილ! სიკვდილი მტარვალს!

გ ა მ ო ს ვ ლ ა 2

იგივენი და ლ ა უ რ ე ნ ს ი ა — ნაგვემი, თმაგაწეწილი

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

გამაკაცებო! თუ შეიძლება
თქვენს თავყრილობას დაესწროს ქალი?
სიტყვის უფლებას არ ვითხოვ, მე ხომ

დედაკაცი ვარ, სუსტი არსება,
რა შემძლია ტირილის მეტი?

ესტებანი

ჰოი, ზეცაო! ლაურენსია?

ქერახუანი

ველარ იცანი, შეილია შენი?!

ლაურენსია

გამოვიცვალე... არ ვგავარ იმას,
რაც ვეყავ წინათ?

ესტებანი

ვაიმე, შეილო!

ლაურენსია

გაჩუმიდი! შეილი არა ვარ შენი!
არ დამიძახო არასდროს ასე!

ესტებანი

რა მოხდა? რატომ?

ლაურენსია

ამის მიზეზი

ბევრია... ბევრი... მაგრამ მთავარი
ისაა, რომ შენ არ დამიცავი
მოდალადისგან, საბედისწერო
განსაცდელის ყამს არ მომეშველე
და არ იძიე მტარვალზე შური!
მე ჯერ არ ვიყავ ფრონდოზოს ცოლი,
ქორწილის დამე ჯერ არა გვქონდა
გატარებული და ვით მშობელი,
შენ ერთადერთი მოვალე იყავ
დაგეცვა ჩემი პატიოსნება!

მენ, შვილის პატრონს, და არა სიძეს,
 გვეალებოდა გეპატრონა და
 გეზრუნა ჩემთვის! ასეა წესი!
 როცა მარგალიტს ყიდულობს კაცი
 და მას ქურდები მოიპარავენ,
 ვის ეკისრება პასუხისგება,
 თუ მარგალიტი მუშტარს ჯერ ხელში
 არც აუღია? — გამყიდველს მხოლოდ!
 აქვე. თქვენს თვალწინ, ფერნან გომეცმა
 დამავლო ხელი და გამიტაცა
 ისე. ვით ბატკანს წაიღებს მგელი.
 თქვენ კი. დამფრთხალი მეცხვარეები,
 პირდაღებულნი უცქერით ამას
 და ვერ გაბედეთ ხმის ამოდება!
 რა არ გადაჰხდა?! რა დამცილება,
 რა დაცივნა არ გადავიტანე!
 აი, ეს მკერდი, შეხედეთ როგორ
 დაჩქმეტილია და დაკაწრული?!
 ან ეს ხელები ნახეთ, რომლითაც
 მოქნეულ ხანჯალს ვიგერიებდი?!
 რა სიბილწე და უნამუსობა,
 რა უმსგავსობა ესმოდა ჩემს ყურს,
 როცა ცდილობდა ის გარწმარი
 ჩემი უმანკო ქალიშვილობით
 გაჰაძღარიყო, მოეკლა უინი!
 ეს თმები ნახეთ, ნუთუ არაფერს
 არ გეუბნებათ ეს გაწეწილი
 თმები. ან კაბა შემოხეული?
 ლაქებს თუ ხედავთ, ამ ჩალურჯებულ
 ლაქებს? ან სისხლი... სისხლი თუ გახსოვთ,
 რა ფერისაა?! პატიოსნებად
 კი მოგაქვთ თავი, მაგრამ, მითხარით:
 მამები არ ხართ? ძმები არა ხართ?
 გული არა გაქვთ?.. ნუთუ არ შეგრჩათ
 ნათესაობის გრძნობა, ჯიგარი,
 ან ნუთუ ჩემი ცოდვით არ გეწვით

ეგ მთელი თქვენი შიგნეულობა?!
არა, გეთაყვა! თქვენ ხალხი არ ხართ!
ცხვრები ხართ! ღიახ, ნამდვილი ცხვრები!
თქვენ ღირსეული მკვიდრნი ბრძანდებით
ხოჯლის. რომელსაც ცხვრის წყარო ჰქვია!..
თუმც. არა! ცხვრებმა რა დააშავეს?
ცხვარზე იტყვიან: „თუ გაცხარდაო“..
თქვენ კი — ქვები ხართ, უსულო ქვები!
პიტალო კლდე ხართ! რკინა, ნადირნი...
ნადირი? არა! კეთილშობილი
ვეფხვი არავის შეარჩენს წყენას!
შეკლს თუ წაართმევ, გაშმაგებული
დაგეძგერება და ან დაიხსნის
თავის ნაშიერს. ან თავს შეგაკლავს!
თქვენ კურდღლები ხართ! ღიახ. მშიშარა
კურდღლები! თქვენში ესპანელობის
არაფერია! ველურები ხართ!
სხვებს გასართობად ასესხებთ ცოლებს
და ქალიშვილებს... რად გინდათ ხმლები?
თქვენ ხელში ჯარა უნდა გეჭიროთ!
ან თითისტარი!.. მე ისე ვიზამ,
რომ ჩვენ ქალები, უთქვენოდ, მარტო,
გამოვისყიდით ჩვენი სისუსტის
დანაშაულს თუ უბედურებას
და ქვით ჩაეჭოლავთ მოძალადეებს!
ქალაჩუნებო! ღიაცებრ მხდალნო!
ნახევრად კაცნო, ნახევრად ქალნო!
ღიაცებრ უნდა რთავდეთ და ქსოვდეთ!
თქვენ უნდა გეცვათ ჩვენი კაბები,
ჩვენი მანდილი გეხუროთ თავზე,
თქვენ უნდა იყოთ ნაზად, კოპწიად
მორთულნი ჭრელი ხილაბანდებით,
ფერ-უმარილით იგლესდეთ სახეს
და აგდიოდეთ სუნამოს სუნი!..
ხვალ ჩემს ფრონდოზოს სიკვდილი ელის!
დაკითხვისა და გასამართლების

ვარეშე, კოშკის მაღალ ქონგურზე
ჩამოჰკიდებენ! ასე ინება
ჩვენმა ბატონმა — ფერნან გომეცმა!
თქვენც ასეთივე ხვედრი გეწევით
სუყველას და ეს მაჩარებს კიდევ!
მადლობა უფალს. აღმოიფხვრება
მოდგმა დიაცთა, ნახევარკაცთა,
რომელიც არცხვენს და სახელს უტეხს
აქაურობას!.. და ღმერთმა ქნას, რომ
(რაკი კაცებმა აღარ ივარგეთ!)
ქვეყნად კვლავ აღდგეს დრო ამორძალთა
ბატონობისა — ყველა მტარვალთა,
ყველა ლაჩართა დასათრგუნავად!

ეს ტ ე ბ ა ნ ი

ლაურენსია! მე მესმის შენი
გულისწყრომა და სასოწარკვეთა,
მაგრამ ერთ წამსაც არ ვღცოცხლებდი,
რომ დამეჭერა, თითქოს ამ სიტყვებს
მე მეუბნები, მამაშენს!.. კმარა!
მე მარტო წავალ! თვით ვაზღვევინებ
კომანდორს ყველა უმსგავსოებას!

ქ ე რ ა ხ უ ა ნ ი

მეც შენთანა ვარ! არ შევშინდები,
თუნდაც მთელ ჯართან მომიხედეს ბრძოლა!

ა ლ ო ნ ზ ო

გავწყდეთ ყველანი, თუ საჭიროა!

ბ ა რ ი ლ დ ო

ტილოს ნაპერი ჯოხს გამოვებათ, —
ჩვენი საბრძოლო დროშა იქნება!

ქ ე რ ა ხ უ ა ნ ი

წინასწარ გეგმა შევიმუშავოთ,
რა ვქნათ და როგორ!

მ ე ნ გ ო

რის გეგმა, კაცო!

ხალხს დაეუძახოთ და ყველამ ერთად
შევუთხოთ და დავცხოთ წყეულებს!
პირველ რიგში კი — ის უნდა მოვკლათ!
რაღას ვაყოვნებთ?

ე ს ტ ე ბ ა ნ ი

მაშ, აბა სწრაფად

შეიარაღდით! ვისაც კი რა გაქვთ,
მოჰკიდეთ ხელი — ხანჯლებს, ნაჯახებს,
შურდულებს, შუბებს, ორკაპებს, კეტებს...

მ ე ნ გ ო

მოძალადეებს სიკვდილი!

ე ს ტ ე ბ ა ნ ი

ამინ!

ყ ვ ე ლ ა ნ ი

ამინ! სიკვდილი მოძალადეებს!

მამაკაცები გადიან.

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

გისმინოთ ზეცამ! (ფანჯარაში) ქალებო; აქეთ!
აქეთ ყველანი! შენ ეი, პასკვალა,
ხასინტა, ლოლა! აქ მოდიოთ ყველა!

გ ა მ ო ს ვ ლ ა ვ

პ ა ს კ ვ ა ლ ა, ხ ა ს ი ნ ტ ა და ს ხ ვ ა დ ე დ ა კ ა ე ბ ი.

პ ა ს კ ვ ა ლ ა

რა ანბანია, რად გვეძახოდი?

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

აგერ. შეხედეთ: იქ მირბის ყველა,
ფერნან გომეცის სასახლისაკენ,
მის მოსაკლავად, ავაზაკების
ღაპარბევად და ამოსაწყვეტად!
გულხელდაკრეფით ვუყუროთ ამას?
კაცებს დავუთმოთ ეს სასახლო
საქმე? განა ჩვენ მათზე ნაკლები
გადაგვხდენია დამცირება და
შეურაცხყოფა?

ხ ა ს ი ნ ტ ა

გვითხარი, რა ვქნათ?

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

დავირაზმოთ და თავზე დავესხათ!
შევექმნათ ქალების საბრძოლო რაზმი —
უმადალითო, ჭერ არნახული!
მაგათი ჭავრი ყველას გვეჭირს, მაგრამ,
ხასინტა, მგონი, შენა ხარ უფრო
დამცირებული, შეგინებული...
შენ უნდა იყო რაზმის უფროსი!

ხ ა ს ი ნ ტ ა

შენც არანაკლებ გაწვალეს!

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

შენ კი,

ჩემო პასკვალა, ჩემს ალამს განდობ!

პ ა ს კ ვ ა ლ ა

წაეალ ახლავე, გავმართავ დროშას.
სარს მივაჭედებ მათდის ნაჭერს, —
ნახავ. რა კობტა რამე გამოვა!

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

დრო აღარაა! მოდით, ქალებო.
ჩვენი მანდილი ავაფრიალოთ, —
ეს იყოს ჩვენი საბრძოლო დროშა!

პ ა ს კ ვ ა ლ ა

ახლა ბელადიც ამოვირჩიოთ!

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

არ გვინდა.

პ ა ს კ ვ ა ლ ა

რატომ?

ხ ა ს ი ნ ტ ა

გაჩუმდი, ქალო!
ეგაა თვითონ ჩვენი ბელადი!

ყ ვ ე ლ ა ნ ი

აბა, გაგვიძებ, ლაურენსია!

ყველანი გადიან.

ს უ რ ა თ ი მ ე თ რ ე

დარბაზი კომანდორის სასახლეში.

გ ა მ მ ს ვ ლ ა 1

კომანდორი, ფლორენსი, ორტუნეო.
სიმბრანოსი და ფრონჯოზო ხელუბგაკრული.

კომანდორი

კოშკის ქონგურზე დაკიდეთ ნაღლა,
ისე, რომ ჩანდეს ყოველი მხრიდან!

ფ რ ა ნ დ ო ზ ო

თავს ოატომ ირცხვენთ, სენიორ, ან თქვენს
გვარს რად აყენებთ შეურაცხყოფას?!

კ ო მ ა ნ დ ო რ ი

დე, მაგალითი გახდეს სხვებისთვის
ამ მემბოზის მკაცრი სასჯელი!

ფ რ ა ნ დ ო ზ ო

არ ვაპირებდი თქვენს მოკვლას, თუმცა
შემეძლო...

სცენის უკან ხმაური და შეძახილები.

ფ ლ ო რ ე ს ი

რადაც ხმაური მესმის...
მგონი, ჭიშკარზე არახუნებენ!

კ ო მ ა ნ დ ო რ ი

ვინ თავხედიან? გახედე ერთი!

ფ ლ ო რ ე ს ი

სენიორ! მისი გასამართლება
უნდა შეეწყვიტოთ!

ო რ ტ უ ნ ი ო

ჭიშკარს ამტვრევენ!
მთელი სოფელი აქ შეკრებილა!

კ ო მ ა ნ დ ო რ ი

ხომ არ გაგიედნენ?!

ო რ ტ უ ნ ი ო

არა, სენიორ,
აჯანყებას ჰგავს ეს ყველაფერი!

გ ა მ ო ს ვ ლ ა 2

იგოვენი, მენგო და ქერა ხუანი სცენის უკან.

ქერა ხუანი (სცენის უკან)

მიდი, ბიჭებო! აბა, ჰე! ერთიც,
ერთიც მივაწვეთ! სუყველა ერთად!

მენგო (სცენის უკან)

ფიჩხი მოიტათ! ამას თუ ცეცხლი
არ წაუქიდეთ, ვერ შევალთ შიგნით!

ორტუნიო

ამხედრებულა ხალხი, სენიორ,
სულ დალეწავენ აქაურობას!

კომანდორი

ჩემს წინააღმდეგ? ხალხი?

ფლორესი

შეხედეთ,
ჭიშკარი უკვე შემოამტვრიეს! (ისმის ჭახანი)

კომანდორი

სხვა გზა არ არი, ეს კაცი უნდა
გავუშვათ!.. (ფრონდოზოს) წადი. დააშოშმინე
ბრბო უგუნური! გაიგე, რა სურთ!

ფრონდოზო

ჩემს სანახავად მოვიდნენ.

კომანდორი

გასწი! (ფრონდოზო გადის)

მ ე ნ გ ო (სცენის უკან)

ძირს კომანდორი! სიკვდილი მტარვალს!

ფ ლ ო რ ე ს ი

ჩემო სენიორ! რომ დაიმალოთ,
აჭობებს მგონი.

კ ო მ ა ნ დ ო რ ი

შენ ფიქრი ნუ გაქვს!
მყარია ჩემი სახლის კედლები,
იყვრებენ და მოგვეშვებიან!

ფ ლ ო რ ე ს ი

ხალხის ამბავი არ იცით, — სანამ
სისხლს არ დაღვრიან, არ წავლენ არსად!

კ ო მ ა ნ დ ო რ ი

მაშინ მე თვითონ გავალ გარეთ და
ნახავ, სულ კუდიტ ქვას ვასროლინებ!

ფ რ ო ნ დ ო ზ ო (სცენის უკან)

ვაშა ფუენტე ოვეხუნელებს!

კ ო მ ა ნ დ ო რ ი

შენ ხედავ, ვინა ჰყოლიათ სარდლად?
ახლა გავიგებ, რის მაქნისია!

ფ ლ ო რ ე ს ი

აღტაცებას მგვრის, სენიორ, თქვენი
ვაჟკაცობა და შეუპოვრობა!

გ ა მ ო ს ვ ლ ა ვ

იგივენი, ესტებანი, ფრონდოზო, ქერასუ-
ანი. მენგო, ბარილო და გლახეზი ნაირ-ნაირი
პრემიტიული იარაღით ხელში შემოკეცდებიან დარ-
ბაზში.

ესტებანი

აქა ყოფილა სულთამხუთავი!
მისი დამქაშნიც აქ ბრძანდებიან!
სიკვდილი მაგათ! ფუენტე ოვეხუნა!

კომანდორი

მისმინეთ, ხალხო!

ყველანი

არ გვსურს მოსმენა!

კომანდორი

გამაგებინეთ, რა დავაშავე?
თუ გაწყენინეთ ვინმეს, მზადა ვარ
გამოვისყიდო დანაშაული!

ყველანი

სიკვდილი ჯალათს! სიკვდილი ქურდებს!
გაუშარჯოს ფუენტე ოვეხუნას!

კომანდორი

არ გსურთ მოსმენა? მაშინ გიბრძანებთ
მე — კომანდორი ფერნან გომეცო.
სენიორი და ბატონი თქვენი!

ყველანი

ჩვენი ბატონი მეფეა მხოლოდ!
ჩვენ მხოლოდ მეფეს ვემორჩილებით!

კომანდორი

შეჩერდით, ხალხო!

ყველანი

დაჰკარი, მიდი!

გაუმარჯოს ფუენტე ოვენუნას!

იბრჰვიან. კომანდორი და მისი მხლებლები უკან იხევენ
და გადიან. ხალხი დაედევნება.

ბ ა მ ო ს ვ ლ ა 4

ლაურენსია, პასკვალა, ხასინტა და სხვა
ქალები იარაღით ხელში. იგივენი — სცენის უკან.

ლაურენსია

ვაშა, ქალებო! ჩვენი მიზანი
ახლოა. კიდევ ერთი შეტევა
და გავიმარჯვებთ!

ხასინტა

დიდი ხანია

მწყუროდა მისი სისხლის დაღევა, —
ახლა კი, მგონი, მოვიკლავ წყურვილს!

პასკვალა

ხიშტზე ავაგოთ! მარგილზე დავსვათ!

ესტებანი (სცენის უკან)

ესეც შენ, მხეცო და ავაზაკო!
ჩაძაღლდი!

კომანდორი (სცენის უკან)

ვევლები!... მიშველე, ღმერთო!

ბ ა რ ი ლ დ ო (სცენის უკან)

აგერ ფლორესი!

მ ე ნ გ ო (სცენის უკან)

დასკზე მაგასაც!

ეგ იყო, იმ დღეს მათრახს რომ მცემდა!

ფ რ ო ნ დ ო ზ ო (სცენის უკან)

ჯერ კიდევ სუნთქავს! გამიწვიოთ, სანამ
სულს არ ამოვხდი, ვერ მოვისვენებ!

ბ ა რ ი ლ დ ო (სცენის უკან)

თქვენ სიკვდილი გაქვთ ყველას მისჯილი,
გულს ვერ მომიღობთ ცრემლებით. ვერა!

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

იქით. ქალებო, სადაც ბრძოლაა!

არ შეიძლება ეს ხმალი ასე

უქმად დარჩეს და არ გაისარჯოს! (გარბის
სცენის უკან)

ბ ა რ ი ლ დ ო (სცენის უკან)

ორტუნიოც არ გაუშვათ, ხალხნო!

ფ რ ო ნ დ ო ზ ო (სცენის უკან)

რალას უყურებ, დაარტყი ჩქარა!

ზ ა მ ო ს ვ ლ ა 5

შემორბიან ფლორესი. რომელსაც მოსდევს მენ-
გო, პასკვილა, ხასინტა და სხვა ქალები,
შემდეგ ლაურენსია და ორტუნიო.

ფ ლ ო რ ე ს ი

ნუ მომკლავ, მენგო, რა დაგიშავე?

მ ე ნ გ ო

მაჰანკალიც რომ არ ყოფილიყავ,
შენ არ იყავი, მაშინ რომ მცემდი?!

პ ა ს კ ვ ა ლ ა

არ მოკლა, მენგო, ეგ ჩვენ დაგვითმე!
ქალებთან აგოს მაგან პასუხი!

მ ე ნ გ ო

სიამოვნებით! ამაზე უფრო
საშინელ სასჯელს ვერც მოვიფიქრებ!

პ ა ს კ ვ ა ლ ა

შენს ჯავრსაც ჩვენ ამოვიყრით!

მ ე ნ გ ო

კარგი.

ხ ა ს ი ნ ტ ა

ჩაბაღღღი, გველო! (დანას ჩაარტყამს)

ფ ლ ო რ ე ს ი

ვაი, სირცხვილო!

ქალის ხელითა ვკვდები!

ხ ა ს ი ნ ტ ა

დიახაც,

მადლობა გეტქმის, რომ ამნაირი

პატივი გერგო!

პ ა ს კ ვ ა ლ ა

უყურე ამას,

დედაკაცის ხელს თაკილობს კიდევ!

ხ ა ს ი ნ ტ ა

აღარ თავდები, შე ოჯახქორო?

პ ა ს კ ვ ა ლ ა

ესეც შენ, შე მაჰანკალო, შენა! (ჯოხს ურტყამს)

ფ ლ ო რ ე ს ი

ვაიმე. მომკლეს!.. (კედება)

შემორბის ორტუნიო, რომელსაც მოსდევს ლაურენსია.

ო რ ტ უ ნ ი ო

ღმერთს გეფიცები,

შე არ ვყოფილვარ...

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

რა შეილიცა ხარ,

ვიცი! ჩაძალდი! (კლავს) აბა, ქალებო,

მომყევით! უკან დასახევი გზა

არა გვაქვს, ორში ერთია შხოლოდ —

ან უნდა მოვკვდეთ, ან გავიმარჯვოთ!

ჩვენ შეიძლება გავწყდეთ ყველანი,

მაგრამ მონები აღარ ვიქნებით!

ყ ვ ე ლ ა ნ ი

ვაშა ცხერის წყაროს! ფუენტე ოვებუნა!

ყველანი გადიან.

ს უ რ ა თ ი მ ე ს ა მ ე

პოდანი ფუენტე ოვებუნაში.

ბ ა მ ო ს ვ ლ ა I

ესტებანი, ფრონდოზო, ბარილო, ალონ-
ზო, მენგო, ლაურენსია, პასკვალა, ხა-
სინტა და სხვა გლეხები — კაცები და ქალები. შე-
მოაქვთ შუბის წვერზე წამოცმული კომანდორის თავი.

ბ ა რ ი ლ დ ო

ძმებო და დებო! ჩვენს გამარჯვებას

ერთი სიმღერა ეკუთვნის ალბათ!

აბა, ფრონდოზო, შენ წამოიწყე!

ფ რ ო ნ ღ ო ზ ო

მე რა მელექსე მნახე? სიმღერის
ოსტატი შენ ხარ!

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

მართლა. ბარილდო,
თქვი რამე!

ბ ა რ ი ღ ღ ო

კარგი, მაშ მომისმინეთ (მღერის)

„დიდება გლენკაცს,
მამულზე მზრუნავს,
მის ნათელ ჭკუას,
მის შრომის უნარს!
მის სინდის-ნამუსს
და შემართებას, —
ვუმღეროთ, ძმებო,
ქებათა-ქება!
მრავალუამიერ,
მრავალუამიერ,
მშრომელი კაცის
მარჯვენას ძლიერს!“

მ ე მ უ ს ი კ ე ნ ი დ ა ს ხ ე ბ ი

„მრავალუამიერ, მრავალუამიერ,
მშრომელი კაცის მარჯვენას ძლიერს!“

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა (მენგოს)

შენც ხომ გვიმღერებ, მენგო?

მ ე ნ გ ო

ხომ იცი,

მე ცოტა მწარე სიტყვები მიყვარს!

პ ა ს კ ვ ა ლ ა

გამწარებულ კაცს რა გეთქმის მეტი?!

მ ე ნ გ ო

ერთხელ ამ ჩვენს ფერნან გომესს,
შუბზე როა წამოცმული,
ულრან ტყეში შევეყარე,
სასეირნოდ გამოსული.
ერთ ქალიშვილს უპირებდა
შერცხვენას და გაფუჭებას, —
სამნი იყვნენ... აბა, როგორ
გაბედავდა გაურჩებას?!
შევეცადე გოგოსათვის
ამეცდინა ფათერაკი
და ამისთვის მათრახებით
ამიჭრელეს მთელი... ზურგი! (ხარხარი)
რას იცინით, რომ იცინით?
არის ქვეყნად სამართალი:
ჩემი... ზურგის გადამკიდემ,
გაიფუჭა კაცმა თავი! (ხარხარი, ტაში)

გ ა მ ო ს ვ ლ ა 2

იგივენი და ქერა ხუანი, რომელსაც შემოაქვს
ფარი სამეფო გერბის გაოსახულებით.

ე ს ტ ე ბ ა ნ ი

ხალხნო! ეს ფარი სამეფო გერბით
აქ ჩამოვკიდოთ, ამ კარის თავზე,
სადაც ჩვენ კრებებს ვატარებთ ხოლმე!

ბ ა რ ი ლ დ ო

რა დიდებული ფარია!

ა ლ ო ნ ზ ო

ახლა

ჩვენი მფარველი ეგაა მხოლოდ!

ესტებანი

ძმებო და დებო! ყური დაუგდეთ,
რას ვეტყუით ახლა თქვენი ალკალდი,
კაცი. როგორც თქვენს სამსახურში
გაქალაქავედა და თქვენზე მეტი
გამოცდილება აქვს... კასტილიის
ხელისუფალნი არ დატოვებენ
ასე ამ საქმეს, გამოიკვლევენ.
იქნებ სოფელში დამსჯელი რაზმიც
ჩამოაყენონ... მე იმას ვამბობ,
რომ დაგვკითხავენ უთუოდ ყველას!
მოდით, შევთანხმდეთ: რაც უნდა მოხდეს,
რა გასაჭირიც არ უნდა გვადგეს,
სუყველამ ერთი შევიკრათ პირი
და ერთნაირად მოვიქცეთ ყველა!

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

მაინც, რას გვირჩევ?

ესტებანი

როცა გვკითხავენ:
ვინაა ფერნან გომეცის მკვლელი? —
ვუთხრათ, ფუენტე ოვეხუნა-თქო!
ამაზე ვიდგეთ შეურყეველად
და არ გადავთქვათ ჩვენი ნათქვამი!

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

სწორია! მართლაც ეგრე არ იყო?
არც შენ მოგიკლავს, არც მე, არც იმას, —
ერთი კაცივით აღვსდებიტ ყველა!
ყველამ მოვკალიტ! მაშასადამე,
მკვლელიც — ფუენტე ოვეხუნაა!

ესტებანი

და ამას იტყვის მთელი სოფელი?

გ ლ ე ხ ი

რა და

ჩანოგვივინდნენ!

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

ვინა?

გ ლ ე ხ ი

ვინა და

მოსამართლე და იმასთან ერთად

კაპიტანი და ჯარისკაცები!

ყველას იკერენ!

ე ს ტ ე ბ ა ნ ი

ახლავე წადი

თქვენ თქვენს სახლებში! არ დაგავიწყდეთ

ჩვენი პირობა! ნუ შეშინდებით

და ყველაფერი რიგზე იქნება!

მენგო! ვინ მოკლა ფერნან გონეცე?

მ ე ნ გ ო

ფუენტე ოვებუნამ!

ყ ვ ე ლ ა ნ ი

ფუენტე ოვებუნამ!

ს უ რ ა თ ი მ ე ო თ ხ ა

ბ ა მ ო ს ვ ლ ა :

ჩვეუ მოედანი ფუენტე ოვებუნაში. ლ ა უ რ ე ნ ს ი ა,
შემდეგ ფ რ ო ნ დ ო ზ ო.

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

ოპ, რა ძნელია გიყვარდეს ვინმე,

თავდავრწყებით, გაგიყვებაჟდე

და არ იცოდე რით დაეხმარო,
როდესაც იგი განსაცდელშია!
გაურკვეველობა და შიში! შიში —
ესაა რომ მკლავს და მაჩანაგებს!
სად უნდა იყოს ჩემი მეუღლე?
იქნებ ტყეშია და იმალება,
იქნებ სოფლიდან გადაიხვეწა?
მოსამართლე მას დაეძებს, ირგვლივ
ჯარისკაცები დაძრწიან... ღმერთო!
ამაზე ფიქრი ჭკუიდან შემშლის!

ფ რ ო ნ დ ო ზ ო (შემოდის)

ლაურენსია!

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

ფრონდოზო — შენა?
როგორ გაბედე მოსვლა?

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

მარტო ხომ
ვერ დაგტოვებდი!

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

განა არ იცი,
თუ დაგიჟირეს, რა გელოდება?!

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

სადაც შენა ხარ — მეც იქ ვიქნები!

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

ღვთის გულისათვის... ჩემო ფრონდოზო,
გემუდარები, გაიქეც ჩქარა!
შენ გენაცვალოს ლაურენსია,
არ დაიღუპო თავი, ხომ იცი,
უშენოდ ერთ წუთს აღარ ვიცოცხლებ!

სოფელში ყველა დააპატიმრეს,
მესამე დღეა დაკითხვა მიდის
საშინელი და დაუნდობელი!
ვერ წარმოიდგენ, რას უშერებიან:
თვალეbsა სთხრიან, ფრჩხილებს აძრობენ...
გაიქეც-მეთქი, რაღას უდგახარ?!

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

მე შენ მაკვირვებ, ლაურენსია.
აბა, რას მირჩევ, დაფიქრდი თვითონ?!
გავიქეცე? თავი გადავირჩინო?
დავტოვო ბრძოლის ეს აჰპარეზი
მაშინ, როდესაც ჩენს ამხანაგებს
გარდაუვალი სიკვდილი ელის?!
ნუთუ ეგეთი ურცხვი გგონივარ.
ეგეთი მხდალი და სულმდაბალი?
უგნურებაა, რასაც შენ ამბობ!
საკუთარ თავზე ლაჩრული ზრუნვა.
ღმერთმანი, შენს ქმარს არ ეკადრება!

კენესის ხმა სენის უკან

გესმის? ვილაცა კენესის... მოდი აქ,
კედელთან დავდგეთ, დავუგდოთ ყური.

ბ ა მ ო ს ვ ლ ა 2

ფ რ ო ნ დ ო ზ ო, ლ ა უ რ ე ნ ს ი ა — სენაზე არიან.
გვერდით, საპრობილეში — მოსამართლე. ეს-
ტე ბანი, ბიკი, პასკვალა, მენგო და სხვები.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე

თქვი, ბერიკაცო! მხოლოდ სიმართლე!

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

მამაშენია, მგონი...

ლაურენსია

ო. ლებრო,
რასამსჯეა!

ესტეპანი

ვაიმე!... წყალი!..

მოსამართლე

ვინაა ფერნან გომეცის მკვლელი?

ესტეპანი

ფუნტე ოვებუნა!

ლაურენსია

შენი ქირიმე!

ფრონდოზო

ყოჩაღ. მოხუცო!

მოსამართლე

ეი, ჭალათო!

იმ ბავშვს მოჰკიდე ხელი! მოიცა,
ჯერ არა!.. აბა, ჩემო ბიჭუნო,
მითხარი ახლა: რა იყო? როგორ?
შენ იქ იყავი და ყველაფერი
გეცოდინებდა... ვინ მოკლა? გესმის,
ვინ მოკლა-მეთქი? სდუმხარ? ჭალათო,
შეუფუცხუნე ერთი გემოზე!
ნუ გეცოდება. მოუჭი მაგრად!

ბიჭი

ვაჰე. დედა!

მოსამართლე

შე ძაღლიშვილო.

იტყვი თუ არა?

ბ ი კ ი

ჰო, ვიტყვი, ვიტყვი!

მოსამართლე

ვინ მოკლა თქვენი ბატონი? ვინა?

ბ ი კ ი

ფუნტე ოვეხუნამ!

მოსამართლე

ქაჩებო! ჩემთან ეგ არ გაგივათ!
ჩემივე ხელით დაგახრჩობთ ყველას
და დამნაშავეს ვიპოვი მაინც!

ფრონდოზო

უყურე. ბავშვიც არ შეიცოდეს!

ლაურენსია

ვერ გამოტეხეს!

ფრონდოზო

გმირია, გმირი!

მოსამართლე

ქალი მოიყვათ ახლა! ჯალათო,
მუხრუჭი მაგას! მაგრად მოუჭი!
ბოლომდე. სულმთლად შემოაბრუნე!
ეგრე!

ლაურენსია

გაგიედა სიბრაზისაგან!

მოსამართლე

გაგქყლეთ! გაგაქრობთ, არამზადებო!
ძვლებს დაგინაყავთ!.. მოუჭი მაგრად!
ვინ მოკლა ფერნან გომეცი, ვინა?

პ ა ს კ ვ ა ლ ა

აკი, გიჟხარით: ფუნტე ოვეხუნამ!

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე

უმატე! კიდევ უფრო უმატე!

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

ეს პასკვალაა!

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

ტყუილად ცდილობს,
ვერ გამოტეხავს!

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე

დამბლა დაგეცა,
შე ვირიშვილო?! მოუქი მაგრად!
ვინ მოკლა-მეთქი, შენ გეკითხები?

პ ა ს კ ვ ა ლ ა

ფუნტე ოვეხუნამ!

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე

ჯანდაბას მაგის თავი და ტანი!
ის ვაუბატონი მომგვარეთ ახლა,
რუმბივით როა გასიებული!

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

საწყალი მენგო!

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

მენგოს იმედი,
სიმართლე გითხრა, არა მაქვს!

მ ე ნ გ ო

ვაი!

მოსამართლე

აბა, დაიწყე!

მენგო

ვაიმე, დედა!

მოსამართლე

ჯანოანი ხარ, გეტყობა! ვნახოთ,
რამდენს გაუძლებ?!

მენგო

ვაიმე! ვაი!

მოსამართლე

გეტყინა? აბა, დამისახელე
ვინაა მკვლელი?

მენგო

ვაიმე, მტკივა!

გეტყვით, სენიორ, ყველაფერს გეტყვით!

მოსამართლე

კიდევ მოუპი!

ფრონდოზო

გაგვცემს, მგონია!

მოსამართლე

გადაუგრიხე ხელები!

მენგო

ვაი!

გამიშვით, მეტი არ შემიძლია!

მოსამართლე

ვინ მოკლა, იტყვი?

მ ე ნ გ ო

ვინ?

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე

კომანდორი!

მ ე ნ გ ო

იჰან... ფუენტე ოვეხუნელმა!

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე

დასწყევლოს ღმერთმა! ჩემს სიცოცხლეში

პირველად ვხედავ ამნაირ გოგონებს!

ან არა სტკივათ, ან დაეიჯერო --

სიკვდილის როგორ არ ეშინიათ?!

შენ მათ აწამებ, ესენი კიდევ

ლახლანდარობენ!.. გაუშვით ყველა!

ვაუღეთ კარი და სულ კინწისკვრით

გაუარეთ გარეთ!.. ნე დავიღალე!

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

ლაუტრენსია! მოდი, გაკოცო!

ნორჩა! გათავდა! ჩვენ გავიმარჯვეთ!

ბ ა ნ ო ს ვ ლ ა ვ

ფ რ ო ნ დ ო ზ ო, ლ ა უ რ ე ნ ს ი ა, შ ე მ ო დ ი ა ნ ბ ა -
რ ი ა ლ დ ო, ა ლ ო ნ ზ ო და შ ე მ ო პ ყ ა ე თ მ ე ნ გ ო.

ბ ა რ ი ლ დ ო

ყოჩად შენ, მენგო!

ა ლ ო ნ ზ ო

შენ აგაშენა

ღმერთმა!

ბ ა რ ი ლ დ ო

უყურე, რა მაგარია!

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

მენგო, ძმობილო! (გადაეხვევა)

მ ე ნ გ ო

ვაიშე, ნელა!

ბ ა რ ი ლ დ ო

გადაჰქარ, ძმაო. ეს მოგზებება!

მ ე ნ გ ო

რა არი?

ბ ა რ ი ლ დ ო

სანთლის არაყი. ბიქო!
ორნახაღა!

მ ე ნ გ ო

ვაიშე, ვაი!

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

კარგად ვაუვსეთ, ნუ გენანებათ!

მ ე ნ გ ო (სვამს)

უჰ, რა კარგია!

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

აჰა, შენ. პურიც!

მ ე ნ გ ო

არ მინდა... ერთიც დაასხი... ვაი!

ბ ა რ ი ლ დ ო

სადლეგრძელო თქვი, ხომ არ დამუნჯდი?!

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

დაკითხვაზე რომ ხმას არ იღებდა,
მგონი, ლაპარაკს გადაეჩვია!

მ ე ნ გ ო

ერთიც...

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

ქიქა არ გადაგცდეს ყელში!

ბ ა რ ი ლ დ ო

კიდევ დაგისხა?

მ ე ნ გ ო

ვარი, დედიკო!
დაასხი!

ბ ა რ ი ლ დ ო

აჰა! შეგერგოს, ძმაო!

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

რას შვრებით? თან დააყოლოს რამე!
ვის გაუგია ეგრე არყის სმა?!

ბ ა რ ი ლ დ ო

გაჩერდი, ქალო! თავისი საქმე
თვითონვე იცის!

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

გადაჰკრას კიდე!

მ ე ნ გ ო (ცხვირს დააცემინებს)

ცოტა ნიაგმა წამოუბერა...
ერთიც დამისხით, გავცივდი მგონი...

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

ის როგორ იყო, მენგო? ვინ მოკლა?

მ ე ნ გ ო

ვინ?

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

კომანდორი.

მ ე ნ გ ო

აჰ, კომანდორი?

იმან... ფუენტე ოვეხუნელმა!

ბარილდო, ალონზო და მენგო გავლენ.

ბ ა მ ო ს ვ ლ ა 4

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა და ფ რ ო ნ დ ო ზ ო

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

მაშ ასე... იქნებ შენ მაინც მითხრა,
შენ გეუბნები, ჩემო ძვირფასო,—
ვინაა ფერნან გომეცის მკვლელი?

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

ვინ და — ფუენტე ოვეხუნელი!
ხომ გაიგონე?!

ფ რ ო ნ დ ო ზ ო (პრისხანე ხმით)

მე ხუმრობისთვის

არა მცალია! შენ გეკითხები:

ვინაა ფერნან გომეცის მკვლელი?

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

ოჰ, კარგი ერთი, ნუ შემაშინე!

მშვენივრად იცი, ვინცაა!

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

მაინც?

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

ერნ და — ფუნტე ოვეხუნაა!

ფ რ ო ნ დ ო ზ ო

შენ შეპოგეველე! მე კი, მე თვილონ,
მე რით მოგკალი შენ?

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

სიყვარულით!

ფ რ ო ნ დ ო ზ ო (კულისებისკენ)

თქვენ გეკითხებით, თანამოძმენო:
ვინაა მკვლელი კომანდორისა?

ყ ვ ე ლ ა ნ ი (კულისებიდან, ერთხმად)

ფუნტე ოვეხუნა!

შუქი ჭრება.

ს უ რ ა თ ი მ ა ხ უ თ ე

მეფეთა საცხოვრებელი მდინა-დელ-კამპოში მეფე-
დედო ფალი, დონ მანრიკე, შემდეგ კაპიტანი

დ ო ნ მ ა ნ რ ი კ ე

მეფევ! ფუნტე ოვეხუნადან
დამსჯელი რაზმის კაპიტანია.
თქვენი ნახვა სურს.

ნ ე ფ ე

სთხოვე.

კ ა პ ი ტ ა ნ ი

მეფეო!

ჯანკარგულების თქვენის თანახმად
გამოვიძიეთ ფერნან გომეცის
მკვლელობის საქმე... სამასზე მეტი
კაცი დავკოტხეთ და ყველას მიმართ

გამოვიყენეთ რაც კი არსებობს
ზემოქმედების საშუალება...

მ ე ფ ე

მოკლედ მითხარი: იპოვეთ მკვლელი?

კ ა პ ი ტ ა ნ ი

არა, მეფეო! რა არ ვიღონეთ!
ათი წლის ბავშვებს თითებს უენტერევიდით
და მდღულარე წყალს ვასხამდით თავზე,
მაგრამ ვერ გავხდით ვერაფერს! მათთან
ვერც დაყვავებამ და ვერც მუქარამ
ვერ გაჭრა! ყველამ პირი შეიკრა
და ჩვენს კითხვაზე: „ვინაა მკვლელი?“
გვიპასუხებდნენ ერთხმად: „ფუნეტე
ოვეზუნაო!“... ასეთი კერპი
ხალხის მნახველი არა ვარ, მეფეე!
ორში ერთია: ან უნდა ყველა
გავწყვიტოთ, ანდა სუყველას ერთად
შევუწოდოთ მათი დანაშაული!

მ ე ფ ე

დახოცეთ ყველა!

დ ე დ ო ფ ა ლ ი

შეფევე-ბატონო!

ნუ აჩქარდებით, ქვეყნის გამგებელს
თავდაჭერა და სიფრთხილე გმართებთ!

მ ე ფ ე

ო, იზაბელა! თქვენ მე მაკვირვებთ!
ერთი თვის წინათ აქ, ამ დარბაზში,

თქვენ გაბედული მოქმედებისკენ
პოპიწოდებდით!

დ ე ლ ფ ა ლ ი

მხოლოდ და მხოლოდ
გარეშე მტრებთან ბრძოლაში, მეფევ!
თქვენი მახვილის წვერი სამეფოს
საზღვრების იქით უნდა მიმართოთ!
შინ კი — წესრიგის დასამყარებლად
ორი რამაა საჭირო მხოლოდ:
მწარე მათრახი და ტკბილი კვერი!
ვაურჩებას რომ გაბედავს ვინმე.
მათრახი უნდა გადაუჭიროთ.
თან ნამეტანი რომ არ გაბრაზდეს,
იმავე წუთას დაღებულ პირში
ტკბილი ნამცხვარი უნდა ჩასჩართო!...
ეს ყველაფერი ჩემზე უკეთ თქვენ
მოგეხსენებათ! საწყალ კომანდორს,
როგორც ეტყობა, მეტი მოსვლია...
თუ დამიჯერებთ, მე ასე გირჩევთ:
ნუ აიხედრებთ გამწარებულ ხალხს, —
მით უფრო ახლა, როცა სამეფოს
გარეშე მტრებთან აპირებთ ბრძოლას...
დასჯერდით იმას, რომ სასამართლომ
ბოროტმოქმედის კვალს ვერ მიაგნო
და როცა ხალხი დაშოშმინდება,
სხვა კომანდორი გაგზავნეთ მათთან
უფრო წყნარი და უფრო ჭკვიანი!

მ ე ფ ე

თქვენ მართალი ხართ! ახლა ის დროა,
ხალხს ტკბილი კვერი ჩაეჩართო პირში!

Лопе де Вега
ФУЭНТЕ ОВЕХУИА
(На грузинском языке)
Детюниздат Грузинской ССР
«Накадули», Тбилиси, 1976

რედაქტორი ც. ჩხაიძე, მხატვარი შ. დოლიძე, მხატვრული რედაქტორი ჯ. ყაულაშვილი, ტექნიკური რედაქტორი ე. ჯირველი, კონტროლიორ-კორექტორი ლ. სულთანაშვილი, კორექტორი ნ. მუსხელიშვილი, გამომშეები ნ. კაკაშვილი.

გადაეცა ასაწყობად 19/111-75, ხელმოწერილია დასაბუქლად 1/111-76 წ. ასაწყობის ზომა 5,5×9, ქაღალდის ზომა 84×108¹/₃₂, ნაბეჭდი თაბახი 5,88 საადრიტესო-საგამომცემლო თაბახი 3,6 ტირაჟი 7.000. შუკე. № 1636.
ფასი 13 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული“. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Издательство «Накадули», Тбилиси, ул. Марджанишвили № 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზ. 7

Тбилисская книжная фабрика Государственного Комитета Совета Министров Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7